

140  
1954/3



ვერსიონების

№ 2  
თებერვალი  
1954





საქართველოს მწერთა კავშირი



# ქ ი თ ნ ე რ ი

№ 2

საბავთველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შოველთვიური საბავთვეო შუბნალი

თებერვალი, 1954 წ.  
წალიწაღი XXVIII

## ირაკლი აბაშიძე

### ს ა ა მ ა ყ ო ს ა მ შ ო ბ ლ ო

ჩემს საამაყო მხარეში  
სულ განთიადი მგონია;  
ჩვენებრ დიადი სამშობლო  
ჯერ არსად არვის ჰქონია.

დიდ ხალხთა ძმობის ზეიმი,  
მტრობა და შური წაშლილი...  
ვრცელია ჩვენი ქვეყანა, —  
ერთა ურღვევი კავშირი.

ვრცელია ჩვენი ქვეყანა, —  
დიდი საბჭოთა კავშირი,  
შავ-წვდიდან ყინულეთამდე  
გადაჭიმული, გაშლილი.

ცივ ყინულეთის ტრამალზე,  
ცხელი სამხრეთის მდელაში,  
მოძმე ერების მთა-ველში,  
ჩვენს შობებლ საქართველოში,

გამარჯვებული სიმართლე,  
დამარცხებული ბნელეთი,  
ულრუბლო ზეცის დიმილი,  
მზიური ზღვა და სმელეთი.

სულ განთიადი ანათებს,  
სულ გაზაფხული მგონია;  
ჩვენებრ დიადი სამშობლო  
ჯერ ქვეყნად არვის ჰქონია.

## ალექსანდრე გომიაშვილი


### ს ი მ ლ ე რ ა

დიდია ჩემი სამშობლო  
ზღვებით, მთებით და ველებით.  
მთებსა სძრავს ნაღმის გუგუნო.  
ხევებს — მდინარე ხველებით.  
შემოხვევია ტრამალბის  
არხების რკინის ხელები.  
ტოლა-ტალღას სცემს მდინარის,  
შრიადებს პურის ველები.  
ღონზე მღერიან ყაზახნი,  
სამგორში — არაგველები.

დიდია ჩემი სამშობლო,  
ღედა—საბჭოთა კავშირი.  
დიდია მისი ნათელი  
კილით-კიდემდე გაშლილი.  
აქ ეღვა ღრუბლებს ანათებს,  
მაღალ ქარაფებს—გზა-ხშირი;  
ყუბანში პურის სვავი დგას,  
ღონბასში — შავი ნახშირი  
და ისევ ისევ ცასა ხევს  
საბრძოლო დროშა გაშლილი.

ისევ იზრდება ჯეჯილის  
მწვანე ველები — ვრცელები.  
ისევ ელავენ ყანაში  
კომბაინების ცელები.  
საზღვარზე დგანან გუშაგად  
ღედა-სამშობლოს მცველები  
და დაპბრუნვენ მშვიდობას  
ზღვებით, მთებით და ველებით —  
მშვიდობის ჯარისკაცები.  
საბჭოთა არმიელები.

ამ დროშის ნათელ შრიალში  
ზღვებით, მთებით და ველებით —  
საზღვარზე დგანან გუშაგად  
ღედა-სამშობლოს მცველები.  
მათ არ აშინებთ ზღვის დღეცა  
და არც სისინი გვიღებინ...  
შემოჭლობია ავტომატს  
დაკოჟრებული ხელები —  
ქვეყნად მშვიდობას იცავენ  
საბჭოთა არმიელები.





# საყოველთაო სახალხო დღესასწაული



ბოგდან ხმელნიცის ძეგლი კიევიში

საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა უკრაინელი ხალხი უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. ხან შავი მრისხანე ღრუბელივით ეფინებოდნენ უკრაინას თურქ-თათართა ურდოები, აჩანაგებდნენ და სძარცვავდნენ ბარაქიან უკრაინულ მიწა-წყალს, ხალხის სისხლით რწყავდნენ მას; ხან პოლონელი პანები—შლიახტიჩები, და ლიტველი თავადები თარეშობდნენ უკრაინაში, ცეცხლითა და მახვილით აოხრებდნენ მას, ყოველ ნაბიჯზე სახარობელას მართავდნენ და ათასობით ადამიანს ცოცხლად მარგილვებზე აგებდნენ.

დაწეროდა სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

იწვოდა უკრაინის ქალაქები და სოფლები, გმინავდა პანების თავნებობით შეწუხებული ხალხი. მაგრამ იგი ავ ბედს როდი ემორჩილებოდა; ვაჟაკურად და გამირულად ებრძოდა თავის მხაგრელებს — პოლონელ მაგნატებსა და უკრაინელ მემამულეებს. უბედურების მძიმე წლებში და საბედისწერო ომებში, განსაცდელის ქაშს, უკრაინის შვილებს რუსი ძმები ყოველთვის მეგობრულად უწვდიდნენ ხელს.

1648 წელს დაიწყო უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი მხაგრე ლი პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ, ამ სახალხო გამათავისუფლებელ ომს მეთაურობდა უკრაინელი ხალხის შვილი, სამშობლოს მხურვალე პატრიოტი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ნიჭიერი მხედართმთავარი ბოგდან მისხელის-ძე ხმელნიცკი.

ექვს წელს გაგრძელდა ეს გამათავისუფლებელი ომი. მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ბოგდან ხმელნიცკის ჯარმა, ხალხის ბევრი რჩეული შვილი შეეწირა სამშობლოს. ამავე დროს უკრაინას ემუქრებოდნენ ყირიმის ხანები და თურქეთის ხონტქრები.

თავისი ქვეყნის სვე-ბედის ვადამწყვეტ მრისხანე დღეებში უკრაინელი ხალხი იმედით შეჰყურებდა მოძმე რუსეთს. გამპირაისხა და ბრძენ სახელმწიფო მოღვაწეს—ბოგდან ხმელნიცკის—ესმოდა უკრაინელი ხალხის ძლიერი მისწრაფება რუს ხალხთან შესაერთებლად და მან რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყო. რუსეთთან კავშირი ხმელნიცკის უკრაინელი ხალხის ხსნად მაიჩნდა.

1654 წლის 8 (18) იანვრის დღე ოქროს ასობით ჩაიწერა რუს და უკრაინელ ხალხთა დიდი ძმობის მატინაში. ამ დღეს ქალაქ ჰერეისლავეში შეიკრება რადა, რომელმაც გამოაცხადა უკრაინის შეერთება რუსეთთან. ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს—რუსეთთან უკრაინის შეერთების სამისი წლისთავს—ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს, რო-



გორც დიად სახალხო დღესასწაულს, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ურღვევი მეგობრობის დღესასწაულს.

ამ ნარკვევში ჩვენ მოგითხრობთ ძველი პერეიასლაის ამბავს, სადაც სამის წლის წინათ შეიკრიბა განთქმული რადა, კაჩენგელთ ამ სახელგანთხრობილი ქალაქის დღევანდელ სახეს.

**ქ ა რ ს უ ლ ი ს ქ ე მ ლ ე მ ი**

ქალაქი პერეიასლაე-ხმელნიცკი ჯერ კიდევ 907 წელს არსებობდა კიევის რუსეთის მიწა-წყალზე. ახლა, როცა ქალაქის ქუჩებში მშენებელი ქვაბულსა სთხრის, მისი ბარი ხან მუხარადასა და ხან მოკაქულ ხმალს წააწყდება ხოლმე.

ყოველ გაზაფხულზე ქალაქის მკვიდრნი ბლუჯა-ბლუჯა აგროვებენ თავიანთ ბოსტნებში სხვადასხვა სახელწოდებითა ძვირფას ლითონის ფულს.

უძველესი დრო ყოველ ნაბიჯზე თავს გვაგაძრობინებს. ქალაქის პარკში, სადაც ყველაფერი ახალგაზრდაა, დაწყებული ახალახან დარგული ხეებით და დამთავრებული საზაფხულო სცენის ხასხასა ცისფერი ნიჟარათი, უცბათ წააწყდები უზარმაზარ ღუზას, დიდი ხნის წინათ გამშრალი მდინარის კალაპოტში ნაპოვნსა და უცნობი მკვდლის გამოქედილს. აგერ ცნობილი მოედანიც, რომელზედა უკრაინელი ხალხის დიდი წარსულია აღბეჭდილი. აქ, ამ ადგილას რადა იკრებოდა.

სამისი წლის წინ, მოწმენდილ ყინვიან დილას, პერეიასლაის ეკლესიების სამრეკლოებიდან ზარების რეკვა ატყდა. ქუჩებში კაზაკები დაფაფსა სცემდნენ და ხალხს რადაზე შესაკრებად უხმობდნენ. უკრაინის ყოველი მხრიდან მიძინების ტაძრის მოედანზე თავს იყრიდნენ კაზაკები, სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებნი. და აი, მოედანზე გამოჩნდა ბოგდან ხმელნიცკი, ხოლო მის გვერდით დიდი რუსეთის ელჩი ბოიარინი ვასილ ბუტურკინი.

ბოგდან ხმელნიცკი შედგა წითელ მულდადაფარებულ ფიცარნაგზე და ხალხს მხურვალე მოწოდებით მიმართა:

— დღეიდან, სამარადისოდ რუს ხალხთან ერთად ვიყავთ!

— სამარადისოდ! სამარადისოდ! — გადაიქროლო მოედანზე ათასხმოვანმა გამოძახილმა.

ახლა უკრაინელი ხალხისათვის საშიში აღარ იყვნენ არც პოლონელი შლიახტიჩები, არც ყირიმის ხანები, არც თურქეთის ხონთურები. გვერდით ხომ სიმელო მცველი და უფროსი ლეიძლი ძმა — რუსი ხალხი ედგა! მას შემდეგ ძმები მხარ-

დამხარ იბრძოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამ ისტორიული ამბის აღსანიშნავად ხსენებულ მოედანზე აღიზარება მოპირკეთებული გრანიტის ობელისკი, ობელისკზე კი — მემორიალური დაფა გაიკრება.

აი, პერეიასლაის ისტორიული მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც. იგი მდებარეობს დიდი უკრაინელი კობზარის ტარას გრიგოლის-ძე შვეჩენკოს ახლობელი მეგობრის — ექიმ კოზაჩკოვსკის ყოფილ სახლში. პოეტი აქ ცხოვრობდა. აქ დაწერა თავისი შენანიშნავი ნაწარმოებნი „კავკასია“, „ტარასოვა ნიჩი“, „ნიანიჩკა“. ახლა მუზეუმი შეივსო ბოგდან ხმელნიცკის დროის ახალი ექსპონატებით.

წარსულის ეს ძეგლები ჩასმულია ახალი და ბედნიერი საბჭოთა ცხოვრების მშენებელ ჩარჩოში.

**კ ე რ ე ი ა ს ლ ა მ ი ლ ე მ ს**

სისხამ დილით თავის უბანზე გამოდის კალატოზი ალექსანდრე პეტრეს ძე ფილიპკოვი. იგი აუჩქარებლად მიბაიჯებს და სიამოვნებით უსმენს თოვლის ხრაშინარუსს, რომელიც მის ფეხქვეშ გაისმის. ზამთრის განთიადი ქალაქს ეფინება...

ირგვლივ ყველაფერი თეთრად არის გადაბარდნილი. ნათელი და კაოწიად ამართული სახლების სახურავები გადათეთრულია.

მაგრამ დილას სიწუმე და სიმშვიდე არ მოჰყოლია. ქალაქს სიცოცხლით ავსებს მხიარული და საქმიანი ფუსფუსი.

საწარმოთა საყვირები ერთმანეთს ეხმაურებიან, მიჰქრიან მანქანები, მოწაფეები ჩქარი ნაბიჯით სკოლისაკენ მიეშურებიან. ალექსანდრე პეტრეს-ძეს მხიარული შეძახილი ხვდება კალატოზების ბრიგადა. პერეიასლაელ მშენებლებში ეს ბრიგადა პირველთაგანია. უკრაინის რუსეთთან შეერთების სამისი წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგის დაწყების წინ ბრიგადირმა ფილიპკოვმა შეკრიბა თავისი ბრიგადა და უთხრა:

— ახლა, დღესასწაულის აღსანიშნავად, ჩვენ უფრო უყუთავდა უნდა ვიმუშაოთ.

ალექსანდრე პეტრეს-ძე სახლებს აშენებდა მოსკოვის მიდამოებში, მინსკში, კიევში. ახლა პერეიასლაეში ჩამოვიდა.

პერეიასლაე-ხმელნიცკის მშენებლობებზე მუშაობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. კახოკვიდან აქ ჩამოვიდა ბურღვის უფროსი ოსტატი ნიკიფორ ეგნატენ-ძე რუბტოვი. კახოკეაში იგი ქვაბულს აშ-



რობდა ელექტროსადგურისათვის. აქ ქას ბურღავს წყალსადენისათვის. იგი ეროვნებით რუსია და უკვე მრავალი წელია უკრაინელი ძმების მხარდა-მხარ მუშაობს უკრაინელი ხალხის საკეთილდღეოდ. ქალაქში მშენებლობის გუგუნე დგას.

რომელ ქუჩაზედაც უნდა გაიაროთ, ყველგან საამშენებლო მიოდანი დაგხვდებით, სადაც დაძაბული შრომა არ ცხრება.

ქალაქის ცენტრი. აგერ მოასვალტებული მოედანი, რომელსაც ათი ლამაზი ნათურა აშუქებს და გარშემო ოცწლიანი ცაცხვის ხეები შემოვლებია. აქ შენდება საბჭოების დიდი სახლი, მის ახლოს — 460 ადგილიანი კულტურის ახალი სახლი, საბჭოების სახლის მარჯვნივ ახალმა საცხოვრებელმა სახლებმა უკვე შექმნეს ახალი ქუჩა, შენდება საავადმყოფო, კინოთეატრი, სამკერვალო ფაბრიკა, პურის ქარხანა, ტექნიკუმი. ბინებში გაზი გაჰყავთ. არც დიდი ორანჟერეის შექმნა არის დაეწყებული. შენდება ლამაზი სკვერები, ხოლო ამას წინათ ახალმა სკოლამ კარი გაუღო 800 მოწაფეს!

ბევრი სიმღერაა შექმნილი უხვი სახელგანთქმულ ოსტატზე, შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულ მერგოლურზე, სოციალისტური შრომის გმირზე ელენე სიმონის-ასულ ხობატზე. ეს სიმღერები უკვე ხალხურ სიმღერებად იქცა. მათ უკრაინის ყველა კუთხეში გაიგონებთ.

ელენე სიმონის-ასული ხანში შესული ქალია, მაგრამ ენერგია დაუშრეტელი აქვს. მშობლიური საკოლმეურნეო მინდვრის რომელი ბილიკი არ დაუტკუნია მას, რომელ ღეროს არ შეხებია მისი შრომისმოყვარე ხელი.

ხშირად მოადგება ხოლმე ელენე სიმონის-ასულის სახლის კარს ფოსტალიონი. მას მრავალი კორეს. პონდენტის გამოგზავნილი წერილები მოაქვს. მეტადრე მოუთმენლად მოეღის ელენე სიმონის-ასული ძველი რუსული ქალაქის მოკაისკის ახლოს მდებარე კოლმეურნეობა — „ბოროდენოვანა“ გამოგზავნილ წერილებს. დიდი ხანია დამყარდა და დღითიდღე მტკიცდება მხურვალე მეგობრობა მოკაისკელებსა და პერეიასლაველებს შორის. ორი ისტორიული ქალაქის კოლმეურნეები სოციალისტური შეჯიბრებით ამრავლებენ შრომითს დიდებს. ზაფხულში პერეიასლაველთა დელეგაციაში ინახულა მოკაისკი. სტუმართმოყვარე გულთათა და ძმური გრძნობით მიიღეს მოკაისკელმა კოლმეურნეებმა თავიანთი უკრაინელი მეგობრები. კოლმეურნეობაში მათ პურ-მარლით დახვდნენ.

— ჩვენ დიდი ხანია გელოდით, ძვირფასო მეგობრებო.— უთხრა მათ ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ივანე სერგის-ძე მარკოვმა, —სამაონებთ გაგიზიარებთ ჩვენს გამოცდილებას...—ამ კოლმეურნეობაში პერეიასლაველებმა შესანიშნავი ხორბალი — გიბრიდი № 1 ნახეს, რომელიც ჰექტარზე 50 ცენტნერ მარცვალს იძლევა.


დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს პერეიასლაველებზე 1812 წლის სამამულო ომის ძეგლებმა და განთქმულმა ბოროდინოს ველმა, სადაც რუსმა ხალხმა ისტორიული გამარჯვება მიიპოვა ნაპოლეონის ურდოებზე.

მოკაისკიდან უკან დაბრუნებისას პერეიასლაველებმა მოსკოვი ინახულეს. შეიგრძნეს მისი ძლიერება და სილამაზე. იყვნენ წითელ მოედანზე. მოწიწების გრძნობით დაათვალიერეს მავზოლეუმი და კრემლის მოკაიდუ ვარსკვლავები, რომელთა შუქი ორი ხალხის დიად ძმურ მეგობრობას ასხივოსნებს. ამას წინათ კი მოკაისკელებმა მიიანახულეს პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონი. მეურნის



ბოლან\_ხმელნიცკი

თვალი მოავლეს მდი-  
დარ კოლმეურნეო-  
ბებს, პერეიასლავის  
რაიონის ნოყიერ მი-  
წებს და ბევრი სასარ-  
გებლო რჩევა მისცეს  
მათ. ხოლო საღამოთი  
კოლმეურნე მეგობრე-  
ბი გავიდნენ მოედან-  
ზე, რომელზედაც 300  
წლის წინათ ბოგდან  
ხმელნიცკიმ პერეიას-  
ლავის რადაზე წარ-  
მოთქვა ისტორიული  
სიტყვა: „მარად ერ-  
თად“.



საბჭოს ახალი სახლი პერეიასლავ-ხმელნიცკში.

### ქარგია მემობრულად ცხოვრება!

პიონერთა ოთახში მაგიდაზე ალბომი დევს. სი-  
მაყის გრძნობით უჩვენებენ მას უფროსკლასელები  
სტუმრებს, მოწონებით ფურცლავენ პატარები. ამ  
ალბომში ნორჩ მოყაისკელ მეგობართა წერილებია.  
პერეიასლაველი მოსწავლეები ისევე, როგორც მა-  
თი უფროსი ძმები და ამხანაგები, მსურველედ მე-  
გობრობენ მოყაისკელ პიონერებთან. ბავშვები ერთ-  
მანეთს წერილებს სწერენ კოლექტიურად და  
ცალცალკეც. ერთმანეთს უამბობენ სწავლაში წარ-  
მატებისა და პიონერული საქმიანობის შესახებ,  
მოუთხრობენ თავიანთი ქალაქის ახალ ამბებს. ახა-  
ლი ამბები კი ისეთია, რომ პირდაპირ გული  
გიფანტკობებს ამ წერილებს წაკითხვისას. აი,  
მაგალითად, ამას წინათ პერეიასლაველებმა მო-  
ყაისკელებს მისწერეს, რომ მათს ქალაქში გათხ-  
რები სწარმოებდა სტალინური პრემიის ლაურეა-  
ტის პროფესორ კარგერის ხელმძღვანელობით.  
გათხრების დროს ქალაქის ცენტრის მახლობლად  
აღმოაჩინეს ბოგდან ხმელნიცკის დროის მაცხოვ-  
რისა და ამაღლების ეკლესიების ნაშთები. მშვენიერად  
შენახულა არა მარტო საოცრად მკვიდრი  
ნაგებობის საძირკველი, არამედ სვეტების შეღები-  
ლობაც.

ხსენებული ძველისძველი ძეგლების დასაცავად  
ორივე ეკლესიის ნაშთების თავზე აიგება ლამაზი  
პავილიონები.

ამ დღეებში ნორჩმა პერეიასლაველებმა მოსკოვის  
234-ე სკოლის მოწაფეებისაგან მიიღეს ხალხთა მე-

გობრობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ალბომი.  
ამ ალბომში მოთავსებულია ფოტოსურათები, მო-  
წაფეთა სტატეტი და მოთხრობები.

„ჩვენი მამები და ძმები, — წერს ზორია კოკინი, —  
აღნიშნავენ უკრაინის რუსეთთან შეერთების სამასი  
წლისთავის დღესასწაულს ახალი საწარმოო გა-  
მარჯვებებით.“

— ჩვენ ვამზადებთ სასოფლო-სამეურნეო მანქა-  
ნებს, ისინი ამუშავებენ უკრაინის მინდვრებს, —  
თქვა ელუარდ ვოვშინის მამამ ინჟინერ-კონსტ-  
რუქტორმა.

ზორის პონიუშკინის მამამ, რომელიც დაზგათ-  
მშენებელ ქარხანაში მუშაობს, გვიამბო, თუ რო-  
გორ იკისრა ვალდებულება: თავის ცვლასთან ერ-  
თად სადღესასწაულოდ გეგმის გადამტებით და-  
ამზადოს დაზგები.

ამავე დროს ბევრ მანქანასა და საქონელს, რომ-  
ლებიც შემოაქვთ ჩვენს ქალაქში, უკრაინის ქარხ-  
ნებისა და ფაბრიკების მარკები აქვთ.

ქარგია მეგობრულად ცხოვრება!“


### მოდის მაისი

ღამის საქალაქთაშორისო რეულფონების სად-  
გურიდან დარეკეს:

— ტელეფონთან არის ყარაგანდა. უბასუხეთ  
ყარაგანდას!

დიდ მანძილზე ხმა ძლივს ისმოდა.

პერეიასლავის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე  
გიორგი ეგნატეს-ძე ექვლი იწერდა ძლივს ვაგო-



ნილ ცალკეულ სიტყვებს და აზრით ავსებდა გამოტოვებულ ბგერებს. ლაპარაკმა თანდათან მიიღო გარკვეულობა. ყარაგანდის მშრომელებს, რომლებიც საყოველთაო სახალხო ზემის — რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავის აღსანიშნავად ემზადებიან, სურთ უფრო დაწვრილებით გაეცნონ პერეიასლავ-ხმელნიცკის აწმყოსა და წარსულს.

ტელეფონის ყურმილის დაღებისთანავე გიორგი ეგნატის ძემ თქვა:

— რასაკვირველია, ყარაგანდელების თხოვნა უნდა შევსრულოთ.

ყოველი მხრიდან გამოგზავნილი წერილებისა და დეპეშების დასტა სქელდება. სულ ახლახანს იმიერპოლარეთიდან მოვიდა წერილი სამშობლოს ყველაზე ჩრდილო საზღვრების მცველი მეომრებისა. ისინი გვთხოვენ ვუამბოთ ქალაქის ისტორიული ძეგლების შესახებ, ვუამბოთ, თუ რით ცხოვრობს იგი ამ დღიდი სახალხო საიუბილეო დღესასწაულის წინა ხანს.

აქ, პერეიასლავ-ხმელნიცკში, განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა, თუ როგორ ფართოვდება სახალხო ზემისათვის მზადება.

ამას წინათ ქალაქში ჩამოვიდა უკრაინის ოცი საუკეთესო მხატვარი. ისინი ხატავდნენ ისტორიულ ადგილებს, სწავლობდნენ ძველ უკრაინულ ორნამენტებს, ხალხური სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. ყველაფერს, რაც ნახეს, ისინი ჩააქსოვენ ქურჭლის სახეებსა და ფაქიზ სურათებს; ეს ქურჭელი საიუბილეო ზემისათვის მზადდება უკრაინის ფაიფურ-ფაიანსის ქარხნებში. ერთ-ერთ ამ ქარხანაში დამზადდება სასადილო სერვიზი ორი ათასი სულისათვის. ამ სერვიზით შეიმკობა მაგიდები, რომლებსაც დიდი დღესასწაულის დღეს შემოუსხდებიან მოძვე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ძვირფასი და სასურველი სტუმრები.

ისინი მისში ჩამოვლენ, როცა ათასფერად აყვავდება მშვენიერი უკრაინის მიწა, როცა ყვავილობას დაიწყებს კივივის წაბლს ხე, ხოლო მდინარე დნეპრი აღიღდება და მთელ თავის სიგანეზე გაიშლება.

და იმ ისტორიულ მოედანზე, სადაც სამასი წლის წინათ უკრაინელი ხალხის ერთგულმა შეიღმა ბოჯან ხმელნიცკიმ მოწოდება გამოაქვეყნა რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ, — თავისუფალი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები სადღეგრძელოს წარძოქავენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი და ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად.

ი. ორლიკი,  
ი. პლადიმირკვა.

**აპაქი გენაძე**

**საქართველოს ზემია**

წითელ დროშებს აფრიალებს  
დღეს თებერვლის ქარი,  
საქართველოს ზემია,  
ტკბილად მღერის მტკვარი.

მზე კაშკაშებს, იშორებენ  
მთები ნისლის ქოლგას.  
საქართველოს ზემია,  
ტკბილად მღერის ვოლგაც.

ჩვენი თეთრი მთების იქით  
ველებია თეთრი...  
საქართველოს ზემია,  
ტკბილად მღერის დნეპრიც.

მას დიდება, ვინც გულები  
შეაერთა ერთა.  
დღეს სამშობლო თვალუწყდენი  
ხარობს ჩვენთან ერთად.

მღერის ვოლგა, დონი, დნეპრი,  
ურალი და თერგი;  
თხუთმეტი ძმის სიხარული  
ჩვენს სიხარულს ერთვის.

მოსკოვია მეგობრობის,  
უკვდავების წყარო.  
კრემლის შუქით გულგამთბარი  
თექვსმეტი ძმა გხარობთ.

დიდება მას, ვინც ფიქრები  
შეაერთა ერთა.  
დღეს მშვიდობის დროშა მოგვაქვს  
მოძვე ხალხებს ერთად.

დროშა ლენინ-სტალინისა  
ელავს კრემლის ცაზე.  
და პარტია წინ მიგვიძღვის  
კომუნისმის გზაზე.





ბრიგოლ ჩიქოვანი

ნახ. გ. თოთბაძისა

# ბეოკა ოჯახი\*

მ ო თ ს რ ო ზ ა

კლმეურნეობიდან მომავალმა ზაქრომ და მიტომ შორი-დანვე შენიშნეს ჭიშკართან მჯდარი პაპა გიგია და ილო. ისინი აქ სწორად იკრიბებოდნენ და შუალამემდე საუბრობდნენ ხოლმე.

ბავშვები დაინახა თუ არა, გიგია შვილიშვილისკენ მობრუნდა.

— რად დაგავიანდა? — ჰკითხა გიგიამ ზაქროს, — სადა ხარ აქამდე?

— გამგებობის კრება იყო, პაპა. ვანო ძიას არ ეცალა, — უთხრა ზაქრომ პაპას და ახლო მივიდა, ილოს მიესალმა, — მე და მიტო ერთად ვიყავით, პაპა.

ილომ მიტოს შეხედა. იგი მიტოს მამის — ნიკოს ბრიგადაში მიუწაობდა.

— შო, დღეს მამაშენი ამბობდა, ბიჭო, ქიწქურას ნაცვლად გორული მწვანე და ჩინური უნდა გავაშენოთო საკარმიდამოზე. კრებაც ამ თაობაზე უნდა ყოფილიყო.

— შო, ძია ილო, ამ საკითხს იხილავდნენ კრებაზე, — უთხრა მიტომ ილოს.

— რა საკითხს? — გაიკვირა გიგიამ.

— ყველა საკარმიდამო ნაკვეთზე უნდა ამოძირკვნ ქიწ-

ურა და შამპანურის ჯიშები გააშენონ, — უბასუხა ზაქრომ პაპას.

— ვინა თქვა? — შუბლი შეიკრა გიგიამ. — ჩემს საკარმიდამოზე ქიწქურა მეტნება თუ შამპანური, ვის რაში ეკითხება?

ზაქრომ და მიტომ ერთმანეთს გადახედეს. არაფერი უბასუხეს გიგიას. ახლა მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი უნაყოფო იყო.

არც ილოს უთქვამს რამე. დაინახა, რომ გიგიას გულზე მოხუდა ბავშვების მოტანილი ამბავი, გამომეშვიდობა მეზობელს და თავის ეწოში შევიდა.

ბავშვებს ესმოდათ, თუ როგორ ავიდა აივანზე ილო, ეს-მოდათ შემოგებებული ძაღლის კუდის ბათქუნი იატაკზე, კარის ჭრიალი და ილოს ცოლის ნამძინარევი სმა: კარი დია არ დაგარჩეს, ძაღლი შემოვავა.

დიღანს ისხდნენ ჩუად პაპა და ბავშვები. ილოს სახლის ფანჯრებში სინათლე ჩაქრა.

სოფელს ეძინა. მთვარე კარგანის ჩასული იყო. სიწყნარეს ორღობეში დარჩენილი საქონლის ფუხის ხმა არღვევდა.

— რაო, რას ვერჩითო ქიწქურას?! — თავი ასწია გიგიამ. მისი სახე მოღუშული და მკაცრი იყო.

— გორული მწვანე და ჩინური კარგი ჯიშებიაო, პაპა.

\* გაგრძელება. იხ. „ქურნ“. „პიონერი“ № 1.

ქვ ვაზი თურმე მტტ მოსავალს იძლევა და ღვინოც უკეთესს ღვინოს, — ახლო დაუვდა ზაქრო პაპს, მხრით ცხებოდა მის მკლავს, ესმოდა მისი სუნთქვა. იგი პაპასთან შეთამამებული იყო, არ ედებოდა მისი. ახლაც თითხმეტი წლის ბიჭი სწორად დაუკვდებოდა მუხლზე, ისე როგორც ცრა-ცხრა წლის უკან, ჩაბოღუნებულ ხელს თამბაქოს ბოლით გაუღვინო წვერზე, სახით მიეკვრებოდა მის ლოყას, მაგრამ ახლა პაპა ისე უკვირ იტანდა და ისე გაუბედავად ელაპარაკებოდა, თვითონაც უყვარდა, რად მებართება ისა. — სახელმწიფო გორულად მწვენისა და ჩინური ჯიშის ყურძენს კილხსა შვიდ მანეთად ვედულბოძო. ქიწურთა კი მანეთიც არა ღირს, პაპა!

— მე იქნებ სულაც არ ვყვილ ყურძენს?

— სახეები ხომ ჰყვიდან, პაპა!

— შარშან დედა მელანო ტონანხევარი ყურძენი გაყიდა, — შეაშველა სიტყვა მეგობარს მითომ.

— მე არასოდეს არ გამიყიდა ყურძენი და არც გაყვილი, — წარმოთქვა გიგია. იგი არ უყურებდა ბავშვებს.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— არც ღვინო ვარგებულა ქიწურასი, პაპა! — დიწყო ღუმლის შემდეგ ზაქრომ.

— ჰქი მაგ ღვინოს სვამდა მამაჩემი, პაპა, პაპის პაპა...

— პაპა, შარშან მელანო ტონანხევარ ქიწურას მაგივრად გორულად მწვენე რომ გაყვიდა, იმ ფულით ერთ სახლს აიშენებდა.

— წადი, დაიძინე! — შეუწყრა გიგია შვილიშვილს.

ბავშვები მაშინვე წამოდგნენ. მითა უსიტყვოდ დემშვიდობდა ზაქროს და შინ გასწავა. ზაქრო იცნობ შვიდაც.

გიგია კიდევ დედანს იჯდა, ნაწილობრივად და ოცნებაში წასული. თვალწინ წარმოუდგა ის დღე, თინასთან ერთად ქიწურთა რომ ჩაყარა. რა სიხარული ედგა გულში მაშინ თინას, როგორ უბრწყინავდა თვალები.

შემდეგ... პირველი რთველი. თინამ თვითონ იყიდა გორბი ქვევრები, პირველად ჩაასა საკუთარ ქვევრებში თავისი ფულით. მას ჰქონდა თავისი ქერი, თავისი სახლი, ოჯახი, ბავლი, ვენახი. ჰყავდა ქმარი, რომელსაც უყვარდა. რა დამაზად რა წარბეცად ეჩვენებოდა ეს ღარიბი ეწო-კარი. ასე ეგონა, არავის ზღს არ ესნა იმდენი, რამდენიც მისას. არავის ვაზს არ ესნა ისე ღამაში მტევნები, როგორც მისას, არავისი ფულით არ იყო ისე ტკბილი, როგორც მისი. არა, გიგია ვერ ამოთხრის თინას ჩაყარი ვაზს.

მაშის ყველამა გამოარკვია არქებრიდან. გარიყრაფი დგებოდა, შეიშვეშნა გიგია. სიცივისაკან გათოხილიყო. წამოდგა, ქიშკარი შეაღო, ფხაქრფით ავიდა კიბეზე, ფრთხილად შევიდა ოთახში, სადაც ზაქროს ძინა და მის ვეგრდით ტახტზე დწვა. პაპა და შვილიშვილი ერთ ოთახში იძინებდნენ, ერთმანეთის ვეგრდით ედგათ ტახტები.

გიგიას ერთ ხანს არ ჩაეძინა, პირაღმა იწვა, ყურს უფდებდა ზაქროს მშვიდ სუნთქვას. გონებაში იმეორებდა ზაქროს სიტყვებს: „გორული მწვენე და ჩინური კარგი ჯიშებია, პაპა. ქვ ვაზი თურმე მტტ მოსავალს იძლევა და ღვინოც უკეთესს ღვინოს... სახელმწიფო გორული მწვენისა და ჩინურის ყურძენს კილხს შვიდ მანეთად ეილულობს, ქიწურთა კი მანეთიც არა ღირს, პაპა!“. ისე მეუბნებოდა ზაქრო, თითქოს მოხოვდა, მეხვეწებოდა. რატომ, რატომ მოხოვს ამას ჩემი ბიჭი? გიგია ზაქროსკენ გადახრუნდა. ზაქრო პირით პაპისკენ იწვა, მარცხენა ხელს ოლყის ქვეშ ამოვლიდა, ოღნავ ვახსნილ ტურქებზე ღობილი დასამაშებდა. გიგიას ისე ჩაეძინა, თვალთ არ მოუშორებია ზაქროსათვის.

მეორე დღეს უფროსმა პიონერებელმდგანეულმა ოთარ მენაბდემ რაზმიულისა და ნორჩ მებღელა საგანგებო კრება მოიწვია. კრება რაზმიულის საბჭოს თავმჯდომარემ — ლევან ზაქიაშვილმა გახსნა და პირველი სიტყვა მიტოს მისცა.

მითა დაწერილობით, მისთვის ჩვეული სიღნევით ღამა. რაკობდა შამწერი გავზეზის უპირატესობაზე, ილაპარაკა. იმის შესახებ, თუ რამდენად გაიზრდება თითოეული კლმეურნის შემოსავალი, როცა ქიწურთა ადგილზე გორულ მწვენსა და ჩინურს გააშენებენ.

მას წინა ღამით გადაეცაწა წიგნები და ბევრი რამ ისეთი წაეკითხა გორულ მწვენასა და ჩინურზე, რაც არც თავმჯდომარემ იცოდა, არც აგრონომმა და არც პარტორგანიზაციის მდივანმა. მითა ის ცოცხლად, ისე გასაგებად და ნათლად ჰყვებოდა, რომ ბავშვები თითქოს ხედავდნენ ქარვისფერი და გიშრისფერი მტევნებით. შესუძლულ ვაზებს, საწინააღმდეგო მოჩუბებულ მაჭარს, საესე ქვევრებს. თითქოს გრძობდნენ უკმის სიტკბოს. ბევრს ნერწყვიც კი მოადგა პირში და ტუჩებს სიამოვნებით აცმატუნებდნენ. მაიამ მოილოკა კიდევ თავისი პატარა, მარწვევით მოკავებ ტურტები და უშაღ შიშით მიმოხედა — მან რავეთ დაძინანია.

მაგრამ მას არავინ უყურებდა, ახლა არავის ცეცლა მაია სათვის. ყველა მიტოს უსმენდა გულისყურით, გატაცებთ.

— ჩვენ უნდა ვავაგებინოთ მშობლებს, ნათესავებს, ნაცონებს, სადაც კი ხმა მივავსებდებო, თუ რა დახმარებას გაუწევს კლმეურნებმა იმ ოჯახებს, რომლებიც ქიწურას ადგილზე გორულ მწვენასა და ჩინურს ვაშენებენ, — განაგრძობდა მითა, — ძია თედო თქვა, ძირ ნაშენებს ჩვენი საწერილიან მანეთად მივყრიდით. ყველას მოვამარტებთ შიშიამინით, გაფირდით, კირით, სასურებელით და ხარებსაც ვთხოვდით ნაკვეთის მოსახნავად...

— აი, დახმარება ამას ჰქვია!

— თუ ასე მოუშარტავს ხელს კლმეურნებმა, ვინ გაიცდენს მიწას ქიწურასათვის!

— ბარემ კლმეურნებმა ადგივირიფოს და დავგეწროს ყურძენი! — ვაისმა აქეთ-იქიდან მოწონების შეძახილობი.

— მიუსხედავად ასეთი ხელის შეწყობისა, ყველა არ ამოძირკვავს ქიწურას, — თქვა იტიომ, — ამიტომ ვგთხოვს კლმეურნებმა, დავხმარებთ ამ საქმეში...

— დავხმარებთ ჩვენ ჩვენი საქმის გაკეთებაში? — ასწავა თავი მაიამ და თავისი ელვარე თვალები გაკვირვებით შეწანათა მიტოს.

— შო, ჩვენი პირადი, საკუთარი საქმის გაკეთებაში, — მიტოს მაგივრად ზაქრომ უპასუხა მაიას და წამოვდა, — მომეტი სიტყვა, ღვედან — მიუბრუნდა თავმჯდომარეს და განარტობა: — მაგონა ზოგი ჩვენგანის დედ-მამა ისე როდო ფქრობს, როგორც მაია... — ზაქრო დღევად, თავის არიდებდა ახმანავებს და სადღე შორს მათი თავების აქით, გასცქეროდა სივრცეს. რასაც ამბობდა, ამას პაპს აწივდა და წულდა, არ უფლდა, ასე ეფუჭრა პაპაზე და მაინც ასე ფქრობდა. — არიან ისეთი დ-მამები და პაპები, რომლებსაც ეგონებათ, რომ კლმეურნებმა მათ მხოლოდ იმიტომ ეხმარება და უწყრობს სულში, რომ სახელმწიფოს შამანური ჯიშის ყურძენი სჭირდება.

— ასეთი დედ-მამები ცოტანი არიან, [ზაქრო! — დიძამა უკანა რგივად გვიც მოწონელიძემ, [დაბალმა, ჩასუქებულმა ბიჭმა.

გიგია ვეკვდივის იმის საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდა ხოლმე, რასაც სხვა ამბობდა და ამტკიცებდა. „შენს აზრს

— აი, მაგალითად...—უნდოდა ეთქვა, „პაპა გიგიაოფი, მაგრამ რამ ენას ღროზე დაპირა კბილი. — მაგალითები საქირო არ არის, — თქვა ცივად და ისევე მოულოდნელად დაჯდა, როგორც წამოვდა. — განაგრძე, ზაქრო! ბოლოში, შეგაწუკებინე! — უთხრა ზაქროს. გულში კი გაიფიქრა: „არა, უსათუოდ ვაჩუქებ ზაქროს ავტოკალამს. იმიტომ კი არა, რომ პაპა გიგიაოფი უარს უთხრა. ზაქროს მე წუხელ შევძირდი კალამს. პირბა ბირბაა!“

\* \* \*

კრების დამთავრების შემდეგ სკოლის ეზოში გამოსული ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად იშლებოდნენ. ვინც სოფლის ერთ მხარეს ცხოვრობდა, ერთად გროვდებოდნენ. ზაქრო, მიტო, მიაი და ლევანი ერთ უბანში ცხოვრობდნენ. სანამ თემშარიდან გალაშქრდებდნენ და თავიანთი სახლებისკენ მიმავალ ორღობეში შეუსხვდებდნენ, მათთან ერთად ათამდე ბავშვს ჰქონდა გზა. ახლა ისინი ყველანი ერთად მიდიოდნენ.

ბავშვები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხუმრობდნენ, იციზობდნენ. გიგი მოწონდითვე ჯგუფის შუა მიაბიჯებდა. ისე მიდიოდა, ისე მოგვიმებოდა და ისე მიჰქონდა თავისი ჩასკენილი მხრები, გეგონებოდათ, მოზვერი ხლობს მიუძღვისო.

გიგი ლინიერი და ტლანკი ბიჭი იყო. ჩიხბოში თუ პირველ დარტყმას დაასწრებდა მოწინააღმდეგეს, ერთი მოწყვრით წააქცევდა. ჰიდაობაში თუ წელში შეუვარდებოდა, ან ზურგზე მოიკიდებდა, რა გინდ ძლიერი ფალავანი ყოფილიყო, გიგი მას ორივე ბეჭებით დაპირავდა მიზნუ. გულუკეთობი იყო, მაგრამ სადაც ნებით ვერ გაიტანდა თავისას, იქ მუშტით გაშტოვდა.

იღნევი მაინც არ შეეძლო, რამდენსაც ტრაბახობდა. ტრაბახში ზომიერება არ იცოდა, მაგრამ ყველასთან ვერ ბედავდა ტრაბახს. ყველაზე მეტად მიახი ერიდებოდა. მიაი მაშინვე დაიბერდა ტყუილში და იქვე საჯაროდ ამხელდა, დასცილებდა.

ჩვენ რომ ქიწურა გვემოდეს გაშენებული, ისე ამოვიძირკვავდი გიგის, რომ მამას არც კი დავეითხებოდა! — ტრაბახობდა გიგი. მას წელან ეზოდან გამოსვლის მოწიგენა, თითქოს მიაი და ლევანი წინ წავიდნენ და ამიტომ ახლა გაუბედულად ბაქიაობს! — სახლში მე აქეთ მეითხებთან ჰკუას. — ვინ ფისო და მურია?

მოესმა გიგის მიახ დამცინავი ხმა და იმავე წამს, თითქოს ოღლილი ამოუტყარო, გვერდზე ამოუდგა მიაი. გიგისთან იცო ისეთი მოცივი, ერთიციქვანა მოჩანდა, გავიკვირდებოდათ, ამოღენა ყმაწვილს მისი როგორ ემინაო.

— ფისოებთან და მურიაებთან შენ გაქვს ალბათ საქმე! — უკმაყოფილოდ ჩიბურტყუნა გიგის. ამ წუთში ქვეყანას ერიჩინა ამ აბეზარ გოგოსათვის მხარი გაეყრა, მაგრამ მიახს გვერდით მიტო და ზაქრო მოდიოდნენ. ესეც რომ არ ყოფილიყო, გიგი მაინც ვერ შეებდავდა მათს რამეს. მას უბატონოდ მხას ვერავინ ვასცემდა. მიახს მოსლის დედოფალს ებახდნენ და გიგის ამ დედოფლის ერთ-ერთ რაინდდ მოჰქონდა თავი. იგი მიახსათვის წყალს და ცეცხლში ისე გადავარდებოდა, არც დაფიქრებდებოდა.

გიგის უკან მისი კლასის ჯგუფი — ჰაბუკა ხიწანიშვილი მოდიოდა. ჰაბუკა გამბარდი, მაღალი ტანის, სუსტ აგებულების ყმაწვილი იყო. მის პირს განჩერივებს ვერ ნახავდით. ისე უყვარდა ჰაბა, რომ მისი ამხანაგები სუბრობდნენ, ჰაბუკა ძილშიაც ჰაბოს. ჯიბეები და ჩანთა ყოველთვის საუ-



მიტო დაწერილებით, მისთვის ჩვეული სიღინჯით ლაპარაკობდა.

მაშინ აქვს ფასი, როცა ის საწინააღმდეგოა იმისა, რასაც სხვა ამბობს! — ფიქრობდა იგი. ეს ყველა იცოდა გიგის ამხანაგებში და არავინ ეკამათებოდა, არავინ უწყვედა ანგარიშს მის ნათქვამს. გიგი გულზე სკდებოდა. ათასჯერ გადაწყვიტა, მოეშალა ეს ახირებული ჩვეულება, მაგრამ თავის თავს ვერ მორია.

— არც ერთი არ უნდა იყოს! — უბახუხა გიგის ზაქრომ. — აბა, წარმოიდგინეთ იმ ბიონერის მდგომარეობა, რომლის მშობლები ასე ფიქრობენ!

— ასეთი მშობლების შვილი ცუდი ბიონერია! — ხმამაღლა წარმოთქვა ლევანმა. — ასეთმა ბიონერმა არ იცის, რას აკეთებს, რას ფიქრობს, რით ცხოვრობს მისი ღედ-მამა!

— შეც ამის თქმა მინდოდა, ლევანი — ისე თქვა ზაქრომ, თითქოს ცუდ ბიონერებში ლევანი ზაქროს გულისხმობდა, ხოლო მშობლებში პაპა გიგიას.

მიაი თვალს არ აშორებდა ზაქროს; იცოდა, რომ ამ დღითი პაპამ ზაქროს უარს უთხრა ქიწურის ამოძირკვანებას გიგია თუ გაჯოუტდებოდა, მისი დაყოფიება შეუძლებელი იყო. „რა უნდა ქნას ზაქრომ, თუ ახლაც ეს გაკერბდა პაპა? ნუთუ ამიტომ ზაქროს ცუდი ბიონერის სახელი უნდა შეერქვას? არა, ეს რა სამართალია?“ მიაი უცებ წამოვდა, თავი შეარხია გაჯავრებით და სახეზე ჩამოშლილი კულულები უკან გადაიყარა.

— მე არ ვეთანხმები ლევანსა და ზაქროს! — თქვა უკმაყოფილო ხმით. — არიან მშობლები, რომლებთანაც ბავშვები... ეს იგი შვილების... მე ჩვენს ხნის შვილებს ვგულისხმობ... შვილების რჩევა არა სჭირს. ასეთებთან არც დიდების რჩევა სჭირს. რატომ, რა უფლებით უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მშობლების შვილი ცუდი ბიონერია?!

— ასეთი მშობლები ცოტანი არიან! — კვლავ იმავე კოლონდ ვახსნა გიგის ხმა.

მიაიმ ყურადღება არ მიაქცია გიგის.

მელით ჰქონდა გამოტენილი. ხან ხორცის სუნი უდიოდა, ხან თევზისა და ხან ერბოს.

ახლაც პირი პურითა და თევზით ჰქონდა გამოტენილი. ლუქმა როჲ ჩაყლაპა, თავისი გრძელი ცისერი კიდევ უფრო წაიგრძელდა და მწვანა ხმით წაჰმოძახა:

— რას ამზობ, მაია! გივის ფისოსთან და მურიასთან კი არა, ვეფხვებთან აქვს საქმე. იციო, რა მითხრა გუშინ, ბიჭებო? მე და მაია კვირას სანდრიოდ ვიყავით, ბებრის ცინესთან შემოვგადამდა და იქ ძუ-ვეფხვს წავაწყდითო...

— რაო?

— ვეფხვსაო!

ატყდა სიცილ-ხარხარი.

— ეს რა მოუჩნახავს?

— იქნებ მოკლა კიდევ!

— მუშტით მოკლავდა.

გივი სირცხვილისაგან ისე ახვნეშდა, ისე დაიბნა, რომ შებარბაცდა. მაიას შეებრალება, ხელი მოჰკიდა მკლავზე.

— ჭაბუკა! — შესძახა მაიამ მკაცრად.

ჭაბუკას შოშინსაგან ტანში გაბურჭვლა, ყბა გაუშეშდა, დაუღუგუგო ლუქმა პირში შერჩა.

— ისე ყარახარ თევზით, რომ ყვავს ჩამოაგდებ ხიდან. გადააგდე! — უბრძანა მაიამ ჭაბუკას.

ჭაბუკამ ცივად ამოიღო ჯიბედან დამარილებული თევზის ნაჭერი და დაავლო, მაგრამ გული თან გააყვლა. წარმოიდგინა, როგორ გახვევოდა მტვერში, როგორ დაადგამდნენ მის უკან მიმავალი ბავშვები ფეხს, და ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქმის ფეხი მას დაადგესო.

გივი გაღურსკელი მიაბრუნებდა, „მოდი, მოგვრუნდები და ჭაბუკას ერთი მავარს ვუთავაზებ“, გათვითნა პოლისაგან გაგულულმა. მაგრამ გულმა ნება არ მისცა. ჭაბუკა ამხანაგებში ყველაზე უფრო უყვარდა, თან ცნობდებოდა, რომ იგი სუსტი და გამხლარი იყო.

ორღობის თავში პირველი მაია შეჩერდა.

— დამე ნებისა, ბავშვებო! — უთხრა ამხანაგებს. მერე ეშმაკური დიმილი გადახედა — გივის. — ფრთხილად იარეთ, გაწაფე ვეფხვები არ დაგეცეთ! თქვა და შეტრიალდა.

წინ მიმავალ მაიას ზაქრო, ლევანი და მითო გაჰყვნენ. ისინი ერთ ხანს ჩემოდ მდიდოდნენ და ყურს უგდებდნენ ამხანაგების ხმაშალალ ლაპარაკს.

— რამდენი თვალი ჰქონდა, გივი იმ შენს ვეფხვს?

— ჭაბუკას რომ შემოეყაროს ის ვეფხვი, სანადლეოს ვდებ, პირს არ ახლებს! რაც ჭაბუკას ჯიბეებში საშუქელი აქვს, ისიც ეყოფა სანადლეო!

— გვითხარი, ტარიელ, რა იქნა ის შენი ვეფხვი?

— არა შეგავს ჩვენი გივი ტარიელს თუ?

— ხაა... ხაა... ტარიელიც არის და ყარაშან-ყათირიც!

ამხანაგების ხმა თანდათან უფრო შორიდან ესმოდათ მითოს, მაიასა და ლევანს და, როცა სულ მიწყდა, მითომ დიმილით თქვა:

— მტერი ჩავარდა მაგათ პირში.

— გივი მაინც ვერ ისწავლის ჭკუას, — შეაწედა ნაბიჯი მაიამ, რომ ზაქრო გათანასწორობდა. — ხომ მართალს ვამბობ, ზაქრო?

ზაქრომ ხმა არ გასცა. იგი თავისი ფიქრით იყო ვართულად, მას არც ამხანაგების ლაპარაკისთვის დაუფლია ყური და არც მაიას შეკითხვისთვის.

წამით უხერხული დღემილი ჩამოვარდა. ორღობეში მხოლოდ პატარა მეგობრების ნაბიჯების ხმა ისმოდა.

— უნდა მოვამლდინოთ ტრაბახი გივის, — დადარღვია სინჯიმე ლევანმა.

— მეტი არაა შენი მტერი, — მიუყო მაიამ და კვლავ ზაქროს მიუბრუნდა: — რა დავებართა, ზაქრო, ენა მუცელში ჩაგვივარდა? ბახუს რატომ არ მაძლევ?

— მე მითხვ რამე? — მომართულა ზაქრო მაიასკენ.

— გივი ტრაბახს ვერ მომარტყმისო.

— შენ გივის კი არა, ეშმაკს მოარჯჯულვ.

— ვითომ რათაო?

— ბიუს, ეს რა კარგი აზრი დამებოდა! — წამოძახა მითომ. — მხოლოდ მაია გადააწვევს გივის ტრაბახს. მოდი, ლევან, მაია მივამარტო გივის!

— მივამარტო თუ არა! — ამირიზა მაია.

— თუ საბჭო დავავლებს? — ისე ჰქონდა ლევანმა, თითქმის ეს საქმე უკვე გადაწყვეტილი ჰქონოდა საბჭოს.

— მე ისედაც ვეგვარები გივის. არ მივემარტები.

— კი არ ვეგვარები, რიდი აქვს შენი, — უთხრა ზაქრომ მაიას.

— რიდი კი არა! — თან შეიფერა და თან უარყო ზაქროს აზრი მაიამ. — გივი ტრაბახაც არის და შიშინარაც.

— არა, მაია, შენ ცდები, — ეწყინა გივის გაბიბრება მითოს, — გივი და შიში? ვინა თქვა?!

— მამ ჩემი რად ეშინია. კი არ ერიდება, ეშინია. დასა! მე რა საფრთხობელი მნახა? — ამბობოდა მაია. — საბჭომ კი არა, რაიკომაც რომ დამავალოს, მე მას არ მივემარტები. მამ საბჭოც საფრთხობელია მთვლის, არა?

— ნუ ახტი და დახტი შენებურად, — დარიცების კილოთი დაიწყო ლევანმა, — გივი გულკეთილი და ამხანაგებისთვის თავადლებული ბიჭია. ის შენ პატვის გეცემს, უყვარხარ, როგორც კარგი მეგობარი, და ხათრი აქვს შენი. შიშით შენი კი არა, შენისთანა საფრთხობელი ოცი რომ დაუყენო წინ, წარბს არ შეიხრის. მამ ასე, საბჭოს მორიგ კრებაზე განვიხილავთ ამ საკითხს, — თქვა ლევანმა და თავის ეწოს ჭიშკრისაკენ გადაუხვია, — მშვიდობით, ბიჭებო!

— ამას უყურეთ ერთი, ბიჭებო! მე რა, თვალში ვეპატარავები?

— მშვიდობით, საფრთხობელა! — ლევანმა ჭიშკარი შეაღო და იქნად დაძახა მაიას, იცოდა, მაია არ შეჩერდებოდა. — კენეს ესროლ, ან უჩქმეტდა, ან ქილირს ჩამოუშლიდა.

ჭიშკარმა მაინც ვერ დაიფარა. კენემ წაკაბანი გალანდ მის კეფაზე.

— აგრე! — გაისმა იმავე წამს მაიას ხმაც, — მოგხვდა კინკრინოში?

შემდეგი სახლი მითოსი იყო და, როგორც კი ის თავის ენოში შევიდა, მაია ზაქროს მიუბრუნდა.

— მე ვციცი, ზაქრო, რატომ ხარ შენ დაღონებული.

ზაქრომ თავი ასწია. უბრაოდ შეცდა მაიას.

— საიდან მოიტანე, რომ მე დაღონებული ვარ?!

— გან ვერა ვხედავ! მე რას მიხალავ? — მაიას ხმაში ბავშვური სიბოლო და მწარეწყველობა ისმოდა. — მამამ მითხრა, პაპა გივია ქიწურას არ ამოძირკვავსო.

— შში! — მოჩვენებითი გულდრილობით ჩაიციდა ზაქრომ. — ნუ ამოძირკვავს, რა...

მაიამ გაკვირვებით შეაცუცა თვალად და ეშმაკურად ჩაიღიმა. რას გამოპარებდა მას კაცი!

— ზაქრო! ჩვენ ერთმანეთთან დასამალი რა გვაქვს, — დაიწყო დამრიგებლური კილოთი. მისი სახე სერიოზული და დაუცემელი იყო, — მე მეგონა, შენ... — გაჩუმდა, ვერ პოულობდა საჭირო სიტყვას, — პაპა გივიას ერთი უარი გულს არ გაგიტეხდა. ასეთ პატარა საქმეზე თუ ჩამოუშვი ცხვირიო...

— ბატარა! — თავი ვერ შეიკავა ზაქარომ და ბოღმით წამოიძახა, — შენთვისაა ბატარა საქმე. აბა, ერთი მეც მკითხე, — გაჩუმდე, ერთ ხანს თავ-ღებრილი მიდიოდა მაიას გვერდით, — მთელი სოფელი გააშენებს შამპანურის ჯიშებს. ჩვენ კი... რას იტყვიან ჩემზე!

— რა უნდა თქვან შენზე, ზაქარო? განა პაპა გვიას ამბავი არ იცინა?

— მამშვიდებ, არა? — საყვედური გაისმა ზაქაროს ხმაში. — პაპა გვიას რა შუაშია. ჩემზე იტყვიან, არ ივარგაო.

მაიამ კვლავ შენათა თვალები ზაქაროს და ისეთი ცნობისმოყვარეობით შეაჩერა, თითქოს არ სჯერაო მისი ნათქვამი.

— აი, შენ თურმე რაზე სწუხარ! — თქვა მაიამ შემკრთალი ხმით.

ზაქაროს არ მოეწონა მაიას კილო. მობრუნდა მიხკენ.

— რაზე?

— შენზე იტყვიან, არ ივარგაო.

— თორემ შენ არ შეწუხდებოდა ამაზე, — ნიწისმოგებიანი უთხრა ზაქარომ.

— არა! — მტკიცედ მიუგო მაიამ. — მე იმაზე შევწუხდებოდი, რაზეულისა და კოლმურერეობის დავლებას თუ ვერ შევასრულებდი. ის კი არაფერია, რას იტყვიან ჩემზე.. ზაქარო, მე არ მეგონა, თუ შენ ასეთი იყავი.

— შენ ხომ არა ხარ „ასეთი“, იმიტომაც გითხრეს წელან, საფრთხილია სარო!

— მე მირჩევნია საფრთხილია დამიძახონ, ვიდრე შენ-სავით მხოლოდ ჩემს თავზე ვიფიქრო.

— ჩემს ადგილზე შენც ასე იფიქრებდი.

— პიონირი ასე არ უნდა ფიქრობდეს, ზაქარო! ზაქარო წამოწოთლდა.

— იცო რა, მაია! მე შენ ჭკუას ნუ მასწავლი. მე ჩემი ჭკუაც მეუფაო. შენ ის დარჩი, ვისთანაც მიგამაგრებენ!

— დავარბებ და გამოვარბებს კიდეც.

— მოდა, იმას მოუარე, ვინც გაგიგონებს. მე რასა ვფიქრობ, შენ ამას არავინ გკითხავს!

— როგორ თუ არავინ მკითხავს?.. მოვალეობა?!

— „მოვალეობა!“ — გაიმეორა მაიას კილოზე ზაქარომ, — შენ ყველაფერს მოვალე ხარ, სადაც არა გკითხვენ, ყველ-გან ცხვირს მყოფ. რატომ არ ეტყვი შენს კანში?!

— ჩრცხვენოვდეს, ზაქარო.. — გული აუჩვილდა მაიას, ხმა გაებზარა. — მე შენთვის კარგი მინდოდა.. შენ კი... სწორედ რომ არ დავტყვი ჩემს კანში. საბჭოს სხდომაზე ვიტყვი შენს ამბავს. — ისე შევგლო თვალდ ზაქაროს, თითქოს პირველად ნახაო. — აი, თურმე რანაირი ყოფილხარ! შენ მართლაც „ან-გარიშა“ შენა!

— არ მოგწონვარ?

— ძალიან მოსაწონი ხარ..

— შავებს ჩაეცვამ, შენ თუ დამიწუნე.

— მე კი ჩაეცვამ შენზე შავებს, მანამ შენ ასეთი იქნები.

— მე ყოველთვის „ასეთი“ ვიქნები! — მკვახედ მიახალა ზაქარომ.

— არა, არ იქნები „ასეთი“. ზაქარო, შენ არ უნდა იყო ასეთი. მე უსათუოდ ვიტყვი რაზეულის საბჭოს კრებაზე შენს ამბავს.



— იცი რა, მაია! მე შენ ჭკუას ნუ მასწავლი.

— რაო! — შეიკრა შუბლი ზაქარომ. სიბრაზისაგან ხელები დაშოშო. — იტყვი და მიიღებ კიდევაც!

მაია ისე გამოწვევად შემართულიყო, ისე დამცინავად შეპყურებდა შეურაცხულობისაგან გაგულსებულ ზაქაროს. რომ ზაქაროს არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოერიდებინა მისთვის სახე, მუშტებს მთელი ძალით კუმშავდა, რომ თავი შეეკავებინა და არ გაერტყა მისთვის.

— „მიიღებ კიდევაც!“ მმ! — ჩაიცინა მაიამ. — მოამრევი?

— არ იცი, რომ... — წაიბურღლუნა ზაქარომ და მუშტები გაშალა.

— ყოჩაღ, აი რითი მავნიები!

— რად მინდა შენი შემინება, — დარცხვნილი წაილულ-ლულა ზაქარომ.

მაია მოლბა. დამცინავი დიმილი გაუქრა სახეზე.

— მე დაპირებული ვტოკალამი მოგიტანე, ზაქარო, მაგ-რაა... — მაია ვერ მოულობდა სიტყვებს. იგი პირველად გრძნობდა ახსანგთან თავს ასე დაბნეულად. შერცხვა თავისი გულჩვილობის. — მაგრამ არ მოკვცე...

— შენთვის შეინახე შენი ვტოკალამი. გორში რამდენიც გინდა, იმდენი იყიდება მაგისტანა კალმები...

— დაა, სწორედ! ვერ მოგართყვს. გორში მოსკოვის ქარხ-ნისა იყიდება. ჩემი კოლენინგარდისაა, დახურული კალმით.

— ზაქაროს კალამიც რომ იყოს, შენი მაინც არ მინდა, — უთხრა ცივად ზაქარომ და კეფაზე ქუდი შეისწორა, — იცო-დე, მე გამასასწორებელი არაფერი მქონია. ენას კბილი დაა-ჭირე.

ზაქაროს ხმაში მუქარის კილო აღარ იმყოფდა, მისი სიტყვა უფრო თხოვნას მგავდა.

— რაც შეეხება ვინახს, პაპამ თუ არ ამოწყარა, მე თვი-თონ მოვეუკლი...

— რას ამბობ, ზაქარო?! — შეიცხდა მაიამ. — პაპას და-უ-კითხავად ამოწყარი?

— თუ პაპამ არ შემისრულდა თხოვნა, ამოვიყრი — უთხრა გადაწყვეტილი ზაქარიმ და კვლავ შეისწორა ქუდი, წასასვლელად შეტრიალდა.

- ჯაციცა, ზაქარიმ! — ხელი სტაცა მამამ. — შენ ხუმრობ... — რა მაქვს სახუმროს!
- როგორ შეგიძლია პაპას დაუყოთხავად. რა ნება გაქვს?!
- ეს მე ვიცი.
- არა, არ იცი... მერე რა თვალით შეხედავ პაპას, ამხანაგებს? რას ეტყვი რაზემუდს?

— ეგ შენი საქმე არ არის! ხომ გითხარი, ენას კბილი დაჰქირე-მთქინ! — ზაქარიმ ზურგი შეაქცია მამას და თავის ქიშკრისკენ წავიდა.

— ნახავ, თუ ჩემი საქმე არ არის! — დაუძახა მამამ წამიერი დღეების შემდეგ.

ზაქარიმ იფიქრა, კენჭი არ მომპყროლხოს და ცალი თვალით მოხედა მამას, მაგრამ მამა გარინდებული იდგა შუა გზაზე. მთვარის შუქი ანათებდა მის ფაფითრებულ სახეს და ქლიავისფერ დიდ თვალებზე, —ახლა რომ გაოცებულად და ოდნავ ნადვლიანად მქონდა დაცეცებული.

როცა ზაქაროს ქიშკარმა გაიჭრია, მამის შებრუნდა მამა, შეერბინა ეზოში, რამდენიმე ნახტომით ავიდა აივანზე და ღანდვივით შეცურდა ოთახის გამოღებულ კარში.

\* \* \*

მეორე დღით, მამა რომ სკოლაში მივიდა, მზე ამომადლებული იყო. პირველი გაკვეთილის დამთავრების ზარი უკვე დაერქათ, ბავშვები ვარეთ გამოსულნი იყვნენ და ეზოში ყვირილ-ხივილი და ორმეტრიალი იდგა. ერთად თამაშობდნენ გოგონები და ბიჭები. ზოგი ორბეჭე ტრიალებდა, ზოგი რგოლებზე ვარჯიშობდა. სტებოდნენ სიმაღლეზე, სიგრძეზე. აქ ლახტი გაეჩაღებინათ და ქაშრებს ჰაერში ზუზუნში და წვივითი გაშქონდა, იქ ოთურბანს გადადიოდნენ. ყველა კლასის ბავშვები ერთად ირგოდნენ.

მამას დღეს პირველად დაავიანდა სკოლაში და ისიც მთელი ერთი საათით. რაც სკოლაში სწავლობს, ერთხელაც არ გამხდარა ავად და არ გაუცდენია სკოლა. „დღეს რა დამემართა, რამ დამაძინა ასე მკვდარივით, მე სასიკვდილეს, მე!“ ფიქრობდა იგი შემფოთებით. ისე მიდიოდა სკოლისაკენ, რომ ფეხები უკან რჩებოდა. ქუჩიდან დანახა აივანზე გამოფენილი მასწავლებლები. „აი კლასის ხელმძღვანელი, — დეიდა ქეთევანი. აივანის ბოძზე მიყრდნობილი მუგის მიფიცხები. რა უნდა ვუთხრა? დამეძინა, ხომ ვერ ვიბუფვი?“

მამა ქიშკრიდან არ შევიდა ეზოში. იქ მასწავლებლებიც დანახავდნენ და ბავშვები ხომ ყოველი მხრიდან შემოეხეოდნენ შეკითხვებით, რად დაიგვიანეო!

ერთგან ღობეში ამოვადებული სარის ეგულბოდა, იქით გასწავა. რვეულები უბრემი ჩაიღო და ისე სწრაფად გაჭერა სარებშუა, რომ არავის დაუნახია.

ამ დროს მიტო ორბეჭედან ჩამოხტა და ზედ მამას ცხვირწინ დასკუბდა ხელგაშლილი.

— მამა! — გაკვირვებით შეხედა შეტბუნებით მდგარ მამას. — საიდან გაჩნდი აქ, რად დაგავიანდა?!

— წუხელ ხუდ არ მიძინია, — უთხრა დაუფიქრებლად მამამ და თვითონვე ეუბნებოდა თავისი პასუხი.

- რამ გავიტეხა ძილი?
- არ ვიცი, არ დამეძინა!
- მაინც, რატომ არ დავეძინა?
- მამამ შუბლი შეკრა.
- რას ჩამაცვიდი! არ დამეძინა და ეგ იყო! — თვლი მიმოავლო ეზოს. — ზაქარიმ სად არის, არ იცი?
- არა, არ ვიცი. — მკვახელ მიუფა მამას პასუხით ნაწყენმა, მიტომ, — არ მოსულა.
- არ მოსულა?! — შეკრა მამა.
- რა დავამართა, გოგო? რა უცნაურად იქცევი!
- რა უნდა დამამართოდა ვითომ! იცი რა, მიტო, მოდი, მეც არ მივალ დღეს სკოლაში. რა მოხდა, ერთ დღეს გავაცდენე. — თქვა და ღობისაკენ მიბრუნდა, რომ უკან გამძვინვარებოდა.

— დაცა, მამა! — ხელი მოვიდა მიტომ მამას. მას ვერ გავიგო მისი საქციელი. მამა რაღაცაზე ღელავდა, ნერვიულობდა და მალავდა. — მითხარი, რა მოხდა. ზაქაროს ხომ არაფერი მოუვიდა?

— რა უნდა მოსვლიდა ზაქაროს? — უბასუხა დამშვიდებული ხმით მამამ, მაგრამ უმაღლე უკუაგდო თავისი მოხიზნებითი სიმშვიდე. — იცი რა, მიტომ?


- არ ვიცი!
- მე ბეწვია არასოდეს არ ყოფილივარ... და არც იქნები, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა.
- მითხარი, რა გული გამიწყალე! — მოთმინება დაკარგა მიტომ.

— წუხელ შენ რომ დავგვმორდი, ზაქარიმ მითხრა: თუ პაპა ქიშკრისა არ ამოხერხის, მე თვითონ მოვფული მგა საქმეო.

- რა საქმეს?
- ვაჟს მე თვითონ ამოვიყრიო.
- ისუმრებდა!



მამას დღეს პირველად დაავიანდა სკოლაში.



— იბურებოდა კი არა... ამას რომ ამბობდა, აღამაინის ფერა არ ეძლია — მაია წამით შეჩერდა. გადაწყვიტა, მეტი არაფერი ეთქვა ზაქროს შესახებ. „თუ საჭირო იქნა, რაზემე უნის საბჭოზე ვიტყვიო“, გაიფიქრა. — სოლომონ დღის იმიტომ არ მოვიდა ალბათ, — განაგრძო მაიამ, — ვიითუ უკვე ვინცა ამხრის.

მაიას თვალწინ ედგა მკლავებდაკაპიებული ზაქრო ვენახში. ფეხებიანად ამოგლეჯილი ვაზი პანტაპუნტით ცვიოდა მარჯვნივ და მარცხნივ. გაოფლიანებული, ქორჩარჩაოზლილი და მიწით ხელგმუსხვრილი ზაქრო თხრიდა და თხრიდა ვაზს.

— წამოდი, მიტო, მიველსწრო ზაქროს! — წამოძახა მაიამ და სწრაფად დაიხარა, რომ დღებში გამაძრალიყო.

— დიაცო, მაია! — შეაჩერა მიტომი. — არ არის საჭირო ჩვენი წახვლა. ზაქრო ასე არ აჩქარდება. — ეს ისეთი დაჯერებით ეთქვა მიტომ, რომ მაია შეუყოყნადა.

გაიანა ზარის წკრაილი. შეწყდა ბავშვების უვიღ-ხვიელი, ქამრების ზოგუნით და წივლით ყველა ვაგო და ბიჭი სკოლისკენ გაიქცა. ერთმანეთს ასწრებდნენ კიბეზე არბენას.

— წამოდი! — უთხრა მაიას მიტომ.

მაია ფეხს ითრევდა, არ ჩქარობდა; მასწავლებლებს რომ არ შეენიშნათ, მიტოს ევარიებოდა. კიბეზე ამხანაგების ჯგუფს შეგიაა შეუმჩნევლად და კლასში ისე შევიდა, არც მასწავლებლებს შეუნიშნავდა და არც ამხანაგებს. მხოლოდ მაშინ დაინახეს მასწავლებელმა, როცა მერხზე დაჯდა და ის იყო უნდა წამოეშახათ, სად იუაიე აქამდის, რატომ დღივგავიწო, რომ მაიამ ისე გადაუბრიალა მათ თვალები, — ყველას ენა მუცულია ჩაუვარდა.

მაიამ დაბრუნდა ჩაილიმა. „აი, თქვე მშობრებო“, ამბობდნენ მისი თვალები. შემდეგ უბიდან რვეულები ამოაცურა და მერხში შედო.

კლასში მასწავლებელი შემოვიდა. ბავშვები სწრაფად წამოდგნენ და მიხალმნენ.

გაკვეთილი დაიწყო.

\* \* \*

გერ კიდევ გათენებული არ იყო. გვიგისაც კი ტბილად იქნა, როდესაც ზაქრო აღდა. სახლში ყველაზე ადრე გვიგია იღვებოდა. გვიგისად ეწოდა, ღორსა და ქათმებს გაუშვებდა, დაჩხავდა შეშუსა, დააწებებდა ცეცხლს. ამასობაში ელი-სახედი და თალიკოც აღებობდნენ

ელსახედი ხელ-პირს დაიბანდა და ძრისხისა და თხების მოსაწყვლად ბოლოში წავიდოდა. თალიკო კი საუშუმეს უმწადებდა გვიგისა და ზაქროს. გვიგია დიდი ხნის წახული იყო კოლმურერების ყანაში, ზაქრო, რომ აღებოდა.

ზაქრო აივანზე გამოვიდა.

თენდებოდა. თანდათან უერთდებოდა ნათელი ბინდს, მოცისფრო ნისლი გადაშვენილად აკუნებს, ბადებს, მინდვრებსა და ვენახებს, ჩახეობდა სახლებს, დობებს. ნისლი მსუბუქად და სწრაფად აღებოდა. ასევე სწრაფად და უგზოუკვლოდ იკარგებოდა სადღაც ბინდი და ნათელი ეფინებოდა ქვეყანას.

ზაქროს აივანზე ძალი შემოიფეხა. შავი, გრძელბუნჯიანი პირტუტვი ნამისხვან თავიდან ფეხებამდე დასველებულიყო და დღის ბინდშიაც კი მისი ბეჭვი გიზრისფრად ბნინავდა. მთელი ტანით თრიაოდა და ძაბვებდა, სისარულისაგან ატამული. ასე ადრე ამდგარი არასოდეს არ უნახავს ზაქრო და გოაცებისაგან არ იცოდა, რა ექნა. აბათქუნებდა იატაკზე ქუდს, იგრიებოდა, ერთი სული ჰქონდა ფეხებში გახლარ-

თოდა ზაქროს, ატოტებოდა, მიადღერებოდა, მაგრამ დაინახა, რომ ზაქრო წვიდა არ უყურებდა. მისხვდა, უგუნებოდ იყო იგა, და მაშინვე შეწყვიტა ძაბვადა და თრიაოდა, შორიანლო დაყუნტდა და სევდიანად აწყუტვდა.

მხოლოდ მისთვის ცნობილი რომელიც ნიწით მუდამ შეუდგომლად შეატყობდა ხოლმე ზაქროს — კარგ გუნჯაზე იყო თუ დარდაინახე — და მაშინვე თავს ისე დაიბერდა, როგორც ის საჭირო იყო. ამ მოიწყენდა, ან თვითონავე გაიხარებდა, ანღაც ასე მოიქცა. თვალმოუშურებლად შეჟურებდა ზაქროს.

ძალიწი წმეული ტირილში გადავიდა.

— არწვიცა! — გაუწყრა ზაქრო ძაღლს. — გაჩუმიდი! — თავზე იერი გადაუსვა.

არწვიც კვლავ აბათქუნა კუდი. ხელს ულოკავდა ზაქროს, კისრით და სახით ეგლესებოდა მუხლებზე. მარათალია, ზაქრომ ხელი გადაუსვა, თითქოს მიუალერსა კიდევაც; მაგრამ არწვიცა მინც გრმნობდა, რომ ზაქროს ახლა მისი გული არ ჰქონდა. ხედავდა, საყვარელი მეგობრის ფიქრი და გონება სხვაგან იყო.

ზაქრო ეწოდა ჩავიდა და საღორისკენ გაემართა. არწვიცა არ გაჰყვა, კიბის თავზე შედგა და იქიდან აღევნებდა თვალს.

ზაქრომ ღორები გამოუშვა და საქათმის კარი გაღო. ქათმები კრიახით, ფრთების ფარქალოთ და ტკაცუნით გამოფინდნენ საქათმიდან და ისე გამაღვებით მოედნენ ევოს, ისე გავშურნენ ევოს სხვადასხვა კილით, თითქოს რაღაცას სურდა უნდა მიუსწროს. მხოლოდ მამალი შედგა შუა ეწოში, დინჯად გადახედ-გაღმობხედა სულწასულ ქათმებს, მერე მრისხნივ ჩაიკურქურა და ისე გუჟყავდა, კინადამი შეუშველით თან ამოუკლა.

მაღე შეწყდა ქათმების კაკანი და მათი ფრთების ფართქალი, ღორებს უღლის ჭრებინებდა და ღრუტუნ-ღრუტუნით ჩარბინებდა ქაშურის წინ და უტვებ რაღაც საიდულოებით მოცული სიწყნარე მოეფინა ევოს.

სოფელი ჯერ კიდევ ღრმა ძილში იყო. არსად აღამაინის ჭაჭანება არ ისმოდა. განთადის ამ საიდულოებით მოცულ სიწყნარეში თავისი სახლი ზაქროს, თავისი ეწო-კარი და ყველაფერი ირგვლო წღაბრულოდ ღამაზად და რაღაც მეიდღურად განახლო ეჩვენებოდა.

ზაქრო გულად ბავშვი იყო, მაგრამ ამ მისთვის უცნობ-მა მეიდღურმა სიწყნარემ ფერი უცვალა. სახლის უწინ მდგარი ასულეფიანი სიკუნისის ყრუ შრიალი კიდევ უფრო აძლიერებდა ბავშვის შიშს. კალისხის ჩრდილში მდგარი ქვის უზარმაზარი მაციდა, ქვის გრძელი სკამი და საქანელა ცვიცი, ნესტიანი სიბნელით იყო მოცული.

ზაქროს ერთი წამით მოეჩვენა, რომ მაგიდას ვიღაც უჯდა, გესლიანი დიმილით შემოსტკეროდა მას და ჯიუტად იმეორებდა: „არა, პაპა გვიგია არ ამოძრევაგვს ვაზს... სირცხვილი შენი თავი არ გამოგვეყოფა ამხანაგებში!“

არასოდეს არ უფრცენია ზაქროს ასეთი მარტოობა, ასეთი მტანჯველი უშეშობა და სიმწარე, როგორც ახლა. არასოდეს არ ჩვენებია თავისი სახლი ასე ცვიცი, უტყვი, ფანჯრები ასე უსიცოცხლო და თვალდებუქებილი; თითქოს ისინი დაცინვით შემოსტკეროდნენ მას. ასე ევოს ეს ქათმები, ეს ყუჟლო-ჩინა მამალი და კიბის თავზე დაჟურებული არწვიცა მას დასცინოდნენ.

ზაქროს გულს ბავა-ბუგი დაჟქონდა. ცრემლი მოაღდა თვალეში. თავი ისე იგრძნო, თითქოს მისთვის არაწი იყო ამ ქვეყნად, ის არავის ჰვირებოდა და უნდოდა ატირებულყო, მაგრამ ასე ეგონა მაია იდგა თავის სახლის აივანზე, შესტკეროდა გამომცდელი, მისიყვარული თვალებით და გაკვირვ-

ბით ეკითხებოდა: „ზაქრო, შენ ტირისბარ? თვალები ცრემლით გაქვს სავსე? შენ და ცრემლი? აი თურმე კიდევ რანაირი უყოფლობა შენი?“

ამ ყოფაში იყო ზაქრო, რომ გაიჭრაოდა ოთახის კარმა და აივანზე პაპა გიგია გამოვიდა. გიგია არწივას წმუტუნმა გამოაღვიძა. „რა დაემართა ძაღლს?“ გაიფიქრა, ლოგინზე წამოჯდა, სწრაფად ჩაიცვა, ზაქრო ლოგინში ეგულეობდა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, რომ არ გაედვიძებინა შვილიშვილი. ზაქრო რომ ეწოზი დაინახა, გაუკვირდა. შეტოტბული არწივა ხელისკერი მოიშორა და ეწოში ჩავიდა.

— ზაქრო, რად ამდგარხარ ასე აღრე?!

— გაკეთილები დამჩნა მოუშადადებელი, პაპა.— იცრუა ზაქრომ. პირველად უთხრა პაპას ტყუილი და გული დაეწვა, მაგრამ უშოდვე უკუაგლო ამაზე ფიქრი. მას ახლა პაპაც სხვანაირი მოეჩვენა. ცივი, გულქვა, უცხო, არა ახლობელი. აბა რატომ არ გრძნობს პაპა, რა აწუხებს მის შვილიშვილს. გუშინ ილომ და მაიამ სულ ამოწყარეს ქიწურა, მიტომ და მამამისმა — ძოა ნიკომაძე. ნიკო ხომ პაპას ბრიგადირია და ბრიგადაში იტყოდა ამ ამბავს.

— პაპა, შენ როდის ამოწყრი ქიწურას? — ჰკითხა უტეპ, მისდაუნებურად ზაქრომ პაპას.

— რაო?! — თითქოს ვერ გაიგონა შვილიშვილის ნათქვამი გიგია. — ვინა თქვა, რომ მე ქიწურას ამოყერი? — უბასუსხა ზაქროს და სამზარეულოსკენ გაემართა.

ზაქროს კარგად ენობდა რას ნიშნავდა პაპას ეს პასუხი. ის ჯერ კიდევ გუშინ გრძნობდა, რომ პაპა უარს ეტყუოდა. რად ჰკითხა ახლა პაპას ის, რისი პასუხიც წინასწარ იცოდა ზაქრომ!

„ნუთუ მაიას სიტყვებმა გადამაფიქრებინა ჩემი ვანწარხვა? აბა რამ ამაყუნა გაუთენებლივ, რამ მაკითხვინა პაპასათვის, რას გაფიქრებულვარ შუა ეწოში? არა, მე თვითონ ამოყერი. რაც არ უნდა თქვას პაპამ, ღელამ... მე მინც ამოყერი. აბა რა ვქნა? ყველა ამოძირკვავს ქიწურას, გაუთენებენ, ახალ ვენახს და ჩვენ დაღვრებიტ მარტო... ყბად ამიღებენ ახანანგებში. სირცხვილით გარეთ თავი არ გამოამყუცო...“

ზაქრო იმ დღეს სკოლაში არ წავიდა. თავი მოიფარებოდა და მთელი დღე სახლიდან არ გასულა. თავისი უთახის ტანჯილიდან დაინახა, როგორ დაბრუნდა სკოლიდან მაია, ჩანთა აივანზე დაიკადა მიჩნეულ აღგილზე. ერთი კი მოიხედა ზაქროს ოთახისკენ და მერე აღარ გამოჩნდილა.

საღამოს მიტო და ღევაში ესტუმრნენ. „მაიას მოგწავნილი იქნებან?“ — გაიფიქრა ზაქრომ. მაგრამ არც მიტოს და არც ღევანს ერთი სიტყვა არ უთქვამთ ზაქროსა და მაიას წუხან. დღელ ჩნებზე. მათ მამინევე შეატყვეს, რომ ზაქრო ავად არ იყო. მიხვდნენ, თუ რატომ არ მოვიდა ზაქრო სკოლაში.

მიტო და ღევანი დარწმუნებული იყვნენ, სოფლის მეტი წილი თუ ამოძირკვავდა ქიწურას, მერე აღარც პაპა გიგია გაჯიუტდებოდა და წელს თუ არა, გაისად მიინც გააშენებდა გარულ მწვანესა და ჩინურს.

მიტო და ღევანი ისე გამოეშვიდობნენ ზაქროს, რომ არც უხსენებიათ ვაზის ამბავი, მაგრამ ზაქრომ ჭიშკართან რომ მიაცილა მეგობრები, თვითონ ჩამოაგლო სიტყვა ვაზზე.


— ღევან, თქვენები როდის აპირებენ ახალი ვაზის გაშენებას? — ჰკითხა ღევანს და დაუმატა: — პაპილამ თქვა, ეს თვის ბოლომდე თუ არ დაიკო, მერე გვიანაო.

— ეგ პაპილამ რომ არ გითხრას, ვანა შენ არ იცი? — უთხრა ღევანმა, — აბა მისში ვის გაუგია ვაზის გაშენება. მამა დღე და ღამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურშია. წელს ამ საქმისათვის ვერ მოიცილის. — ისე გულგრილად უთხრა ღევანმა ზაქროს ეს სიტყვები, თითქოს ეს საქმე სულ არ აინტერესებდა.


ზაქრო მიხვდა, რატომ მოიქცა ღევანი ასე და მეტი არაფერი უთქვამს. ჭიშკარი მიხურა და შინ შებრუნდა. აივანზე რომ ავიდა, უკან მოიხედა და დაინახა, როგორ გამოსხლტა თავისი ჭიშკრიდან მაია. ღევანსა და მიტოს ტირიფის ხეები ფარავდა, მაგრამ აშკარა იყო მაია მათ დახვდა.

„აქი ვთქვი, მაიას მოგწავნილი იქნებოან მეტქი მას, მაიამ დამაბეჭდა. საბჭოს სხდომაშიდ არ ეყო მოთმინება“. ზაქროს სიმწრის ოფლმა დაასხა. გადაწყვიტა იმ „საჭურთხიბელასათვის“ სამაგიერი ეწლო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)







ლალო მრეწველი

ნახ. კ. მახარაძისა

# ზარი სამოკრიპი\*

პ ო მ ე ა

ლალო მრეწველის პოემა „ზარი სამოკრიპი“ პრემიერებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის ეიურის მიერ 1953 წელს.

გახედვ, მარტო მთებია  
ტანდასერილი ხეებით,  
ათას ჭირვადანახალი,  
ათას ქარბუქის მძლევებით,  
ხელიხელგადახვეულნი,  
მიყუდებული თავებით,  
ზოგჯერ შევლივით მორცხვებით,  
ზოგჯერ ეფუხვით ავებით.  
დღისით მზე ათბობთ ბრიალა,  
ღამღამით მთვარე დანათით,  
ხანდახან მიიძინებენ  
ლოკლიკა ღელის ნანათი.  
ზაფხულში მწვანე აცვიათ,  
ზამთარში თეთრი ხალათი,  
შედ დაუბერტყავს ბუნებას  
თავის სიუხვის კალათი

1.

დღე დასწოლია ხევისურეთს  
პირტყუში, მიუკარებო.  
ბობოქრობს მთელი მიდამო,  
უღვას ზათქი და ზარები.  
ზვავი მოტყუის პირთავემე —  
არავს უმტკრიოს კარები!  
შეყრილან სათარეშოდა  
ჰველა ხეობის ქარები.

ტყეებს გაუღის ლაწანი,  
ხენი საბრალოდ კენესიან,  
კაცს ეგონება სპილოთა  
ლაშქარი შემოესია.  
ხევებში ბრუნავს ნამჭერი,  
კლდეებზე მიდის შეტევით,  
თავით ცას ებჯინებთან  
ნაბუქის თეთრი სვეტები.  
არსად ფრინველის ხმა ისმის,  
დამფრთხალა გმირი არწივიც,  
აზანზარებულ მიდამოს  
მარტო ქარბუქი დასწივის.  
მაგრამ ეს ვინ ჩანს თავზელი,  
ან რისი ეიმედება,  
რომ არად ავღებს ქარიშხალს  
და უგზოდ კლდე-ღრეს ეღდება?  
რა დაუკარგავს, რას ექმეს,  
თავი რად გაუწირია?  
მიჰყვება ბილიკს — ბილიკი  
გველის ნესტარზე წვრილია.  
მგზავს კლდეზე ახლის ქარბუქი,  
გარშემო ურბენს ხელებით,  
თვალეში აყრის ნამჭერსა  
ქვეშე ჩაფრენილს ხელებით.  
ხსდება ყინულის მძიმებად  
ცრმული ლოყებზე ნაყური,  
აფრასებრ გააბტეს ხევისურულ  
პერანგის კალთებს ტყლაშუნი.

დაიკა ქარო, ავქარო,  
რადა ხარ შეუბრალები,  
ვერ არჩევ დიდს და პატარას, —  
რას დაგიხუტავს თვალენი?  
ხედავ? ვერ გასაზრდელია,  
თხუთმეტი წლისა არც არი,  
თოთხმეტი ნახა ზაფხული,  
თოთხმეტი კიდევ ზამთარი.  
აჩვენე მეთუთხმეტეცა,  
განა მაგისთვის მეტია? —  
ერთი ღელა ჰყავს — ვაგარა,  
ერთი აბაა ჰყავს — ბერდია.  
მოუფი, მძობას, თვითონაც  
ღეღისი ერთაა, ბეჩავი,  
ხომ სცადე — ვარგა ვაჭკაცად,  
გამოფა რკინის მღეჭავი.  
არ იშლი, მაინც არ იშლი?  
მაინც გწყურია დაცოფვა? —  
პაუ, შეგიცხვა სინდისი!  
პაუ, შეგიცხვა კაცობა!  
მგზავრი ტორტმანებს საშინლად,  
ქარი აწვდებდა ძლიერი,  
აგლოჯა ქუდი, წაილო  
გამარჯვებულს ივრიო.  
შემოაწყვიტა საკინძე,  
თმები გაწეწა, გაშალა.  
ანანა გამბეღაობა,  
ღელის რძე ამოაშხამა.

\* იბეჭდება შემოკლებით.

ეკახა, კლდეს შეაგლიჯა,  
რაკი მოსწყინდა ლოდინი,  
ძირამდე დაჰყვა მგვჭურად,  
ნამჭერში მისცა ლოვინი.  
« — ავაგებ, დედავს! — ბავშვისა  
კლდეებს შეასკდა კვილი,  
ენახა, — დაემჩნეოდა  
ნადირსაც გულსტიკვილი.  
ვეღარ მიოფა დედასა  
სკოლიდან გახარებული,  
ვეღარ მოსმენს პაპასა —  
ძველ ამბებს დახარბებული.  
გაზაფხულს მოვა ენძელა,  
აკვავდებიან იანი,  
კვლევზე შედგება ქარცხი და  
ქური, ზურმუხტის თმიანი,  
პირშივე ღიღას შესცივნებს  
აყრილი მთათა უბეში...  
ის კი — ვერასდროს, ვერასდროს, —  
დედის და პაპის ნუგეში.

2.

სად არ იარა უთურგვამ,  
სად არ დაღახა ხორხები,  
სად არა ჩხრია ნადირი,  
კლდეები ტალ-ოხერი.  
სად არ დასჭირდა მგლის მუხლი,  
სად არ დასჭირდა სირბილი.  
დაბრუნდეს? როგორ დაბრუნდეს! —  
სახლში ვერ მივა სირცხვილით.  
ბოლოს აუხდა ნანატრი,  
რაკი ერთ კლდის ძირს შეება,  
ესროლა, — გადმოერია  
რტყბით ხარ-ჯიხვი ეგება...  
პირთავეცე მოდის ღიღინით,  
გულს აღარ აწევს ნადველი, —  
ჯერ კიდევ ვარგა ვაჭკაცად,  
კიდევ იქუხებს სახელოც.  
ერთბაშად ატყდა ქარბუქი,  
მიდამო ააზანზარა,  
წინ დახვდა სახლში მიმავალს,  
შემოუტია საზარად.



ზღლ შეაყარა ნამჭერი,  
თურად ზღლედა ერთიან —  
თქვენც არ მომიკვდეთ, უთურგვას  
ყურიც არ შეუბერტყია,  
მანიც მიიწევეს სახლისკენ,  
გული მაინცა მცინარობს,  
კლდის ბილიც ვეღარ აწყევბა,  
კლდის ძირზე უნდა იაროს.  
თანდათან ჯავრობს ქარბუქი,  
თანდათან უფრო ავდებმა,  
მაგრამ რას დასდევს ფოცხვერი —  
სად, როდის შეუღამდება!  
უცებ კლდეს ლოდი რამ მოსწყდა  
და ნაბუქარში დაეშვა,  
გაკვირდა მეტად უთურგვა —  
ვეღარ გაექვა კაეშანს.  
რაც მოხდა, — მიხვდა უშაღვე  
ავი ფიქრის აშლისას,  
რადგან ლოდს დაჰყვა კვილი  
უკვე განწირულ ბავშვია.  
დაავლო ჯიხვი რტა-ბურღა  
და გზა გაკვალა, გაკაფა,  
იქითკენ, სადაც ის ლოდი  
თეთრმა ნაბუქმა ჩაყლაპა.

3.

საჩქრელს უზის ჯავარა,  
წონგურსა მართავს ბერღია,  
წვერ-ულვაშამომბურული,  
გათფრებული ერთიან.  
ბუხარში ცეცხლი გუზუნებს,  
გარეთ ქარბუქი ნავარღობს,  
შემოწონებია ჯავარას  
საფიქრელი და სადარღო.  
სმენას დაძაბავს, გარეთ კი  
მარტო ქარს გააქვს ქუხილი  
და მომლოდინე დედის გულს  
შემოწონებმა წუხილი:  
ნეტავ სად არი გოდერიძი,  
ბერღიაც, რად არ მოვიდა? —  
შორს არი, მაგრამ აქამდის  
უნდა მოგვსვლოდა სკოლიდან.

თუმც არანაკლებ აფიქრებს,  
წუხილს არ იმჩნევს ბერღია:  
— ბერგჯერ ცოლილა, რომ ზგავებს  
მისთვის გზა ჩაუხერგია.  
ყოჩაღი არი გოდერიძი,  
მგელიც ვერ ავენებს მშობერი,  
პაპა ენაცვლოს ბერღია,  
მისი შნი აქვს და იერი.  
გარეთ კვლავ ქარი ავგული  
ზობოტრობს მიუკარები,  
სიბებით ნაგებს სახლს უტეებს —  
ლაშის შეპგლიჯოს კარები.  
ერთ-ორჯერ ისე ეკახა —  
ლაშის გატეხა ურღული,  
გაკვირდა მეტად ბერღია —  
მზერა შეავლო ქურღული.  
მესამედ კიდევ ჯახუნი,  
უცებ კაცის სხით გოდებმა...  
ახლა კი შეკრთა ჯავარა —  
სხვა იყო ცეცხლის მიღება.  
წამოხტა, კარებს მივარდა,  
უშაღ გააძრო ურღული,  
კარბუქი კაცი გამორჩდა  
თოვლით ტანშემოსურღული,  
მხარზე თოვგადაგლებული,  
თვალში ცეცხლწაზღებული,  
მკლავებში ვილაც ეჭირა  
და-მკერღზე ასუტებული.  
მივღა, წამოაწვიწა  
ტახტზე და დაიდა თავდახრით,  
თოფი არც გახსენებია,  
მარტო მოიძრო ფავახი.  
ახლად იცნეს უთურგვა  
ბერღიამა და ჯავარამ,  
მისული უნადიროდა —  
მარტო თოვ-ხანჯლის ამარა.  
მივარდნენ ტახტზე მყოლარეს...  
და აქ ჯავარას კვილიმა  
ბანი გააბო, წავილა,  
გაიღიქვა ქარის ხივილადა.  
— ვაიშე, შვილო, გოდერიძი!  
მუხლზე დაეცა ბერღიაც;  
ლექემოკლულ ლომის ბუხუნნი  
ამოსდიოდა მკერდიდან.  
ისევ უთურგვამ იმარჯვა:  
— დრო აღარ რჩება სამჭერად!  
ბერანგი უნდა გაგხალოთ,  
ძირით მოუხლებმა დაწულა! —  
ბერანგის უბე გაუსნესს,  
მორთული ლამაზ შიბები  
და ძლივს ააძრეს მკერდიდან  
მიხტებულნი წიგნები.

4.

მთებზე შემოდგა ზაფხული,  
ღვარად წავიდნენ ზაფხები,  
თხემებმა გამოაჩინეს  
ყინვით ნაშუღი თაფები.


ხევიდან-ხევზე გადასწვდა  
 ათასი ჩანჩქრის ბლავილი,  
 ალაღას შემოფინა  
 ფერადფერადი ყვავილი.  
 საძოვრად გამომალა  
 ცხვარი და ძროხა ულევით,  
 გორიდან გორზე წვივდა  
 ღულუნი სალამურების.  
 ჩრდილში დამჯდარა ბერიდა —  
 წელი გალია ან ერთი,  
 მას გვერდით უზის გოლერძი —  
 ხელში გაშლილი გაზეითი.  
 ხან კითხვას შეაწყვეტივნებს  
 ათასნაირი კითხვებით,  
 ხანდახან ეუცხოვება  
 ყურს ზოგიერთი სიტყვებით.  
 ბოლოს მთავრდება გაზეითის  
 კითხვა და პაპა ბერიდა  
 ეტყვის საყვარელ შვილიშვილს:  
 — გაუგებარი ერთია,  
 რას ჩამჩივნიებ ყოველდღე  
 სიტყვით გინდა თუ გაზეითით,  
 ან და ეგ შენი სამგორი  
 რა სამოთხეა ასეთი?  
 იქ ჩასახლებას რომ მირჩევ?  
 ხომ გითხარ — არა მწადაია, —  
 ეს მთები როგორ დატოვო,  
 ერთურთთან შენაზარდი ვართ!  
 იქ ვის რად გამოვადგები,  
 ძლივასლა დავიარებო.  
 აქ მამაპაპათ აკლდამებს,  
 მოგკვდები, მივებარები.  
 — შენ, ჩემო პაპავ, პაპილო,  
 ყველაზე კარგო პაპებში,  
 მეც მიყვას მთები ღამაზი  
 იმით კალთებზე დავეშვილს,  
 ბალახში ღალღას გოგმანი,  
 შიგდამოვ კაკობს კაკანი. —  
 განა მე ვამობ; არ არი  
 ეს სიყვარულის საგანი?  
 რად გავიწყდება მეორეც —  
 თუ გინდა მკაცრი შამთარი:  
 ქარის და ზვავის თარეშით  
 კარზე მიმდგარი აფთარი.



სახნავ-სათვის სიმეირი,  
 აქურთ მიწის სიმწირე;  
 უგზობა, უბარაქობა,  
 მგონი, საქმაოდ იწვინე.  
 ან განა დაგეიწყებია  
 ქარბუქი გასულ ზამთრისა.  
 კლიდიან რომ მოვწყდი ლოდევით  
 და ზვავმა კიღამ გამსრისა?  
 მაშინ რა გეშეგებოდა  
 პაპილო, შემოგეცები,  
 რომ იქ ბიძაჩემ უთურგვას  
 არ გამოეცლო შემოხვევით?  
 იქ კი ცელია ისეთი —  
 მერანი გადჭენდება,  
 ღამაზ-ღამაზი სახლებით  
 მთელი სოფლები შენდება.  
 ზღვა იქვე არი თბილისის,  
 შიგ იორს გაატქს კამკამი,  
 საბოსტენ, სათეს-სახნავი  
 თავზე საყრელი, საქმარი.  
 ამ მთებს მთლად როდი დატოვებთ  
 განთქმულთ ბალახის სისუკსით? —  
 ეს სასაფხულო საძოვრად  
 გვექნება ცხვარ-ძროხისათვის.  
 აპანდე, ჩემო პაპილო,  
 გითხარი ჩემი სათქმელი:  
 აქ მოხუცები არიან  
 თითებზე ჩამოსათვლენი,  
 რომელთაც არ სურთ სამგორში  
 გადასვლა, გადმოსახლება,  
 აქ შენ გვიშევე, პაპილო —  
 შენ ვინ არ დაგეთანხმება?  
 პოდა გავწითო სამგორში  
 ერთი სიმღერით, ნაღართი:  
 შენ: თბილი კერა მოგელის,  
 მე — ასპარეზი ახალი.

მოსწავლეთ — შევით კისრებზე  
 ყელსაგვევები ახალი.  
 შემოხვევიან მანქანებს  
 როგორც ხეს ფუტკრის ნაყარი.  
 ავტო კი დატვირთულია  
 მთლიანად სკოლის ნივთებით.  
 (ეს მთიან მთაქეთ, პარნი კი  
 დახვდებათ ათი იმდენი).  
 მანქანას ბოლოს ძელი აქვს  
 გადადებული ხილურად,  
 თამბაქოწონე და ხმალი  
 ზედ ზარი ჩამოიდუღა,  
 მზე სხივებს აყრის კაპაზე,  
 ზარის პიპზე ღიმი უჩნდება,  
 ნიაკი ტყეზე მჭროლავი —  
 მასთან მისული ყურდება.  
 ხან ჩუმად ეალერსება  
 წიველ ყელსაგვევიანებს,  
 ხან თუ კი მოესურვებათ,  
 სიმღერას დააწყრიან.  
 ვამეონია და წყნარია, —  
 ერთი პატარა ზარია.

დაიძრა ბარისასოდან  
 ავტომანქანის კოლონა.  
 სწორ გზაზე სწრაფად სრიალებს,  
 თაგვეზე ნელა მოგორავს.  
 მარჯვით მიჰყვება არაგვას,  
 ხილვებზე ფრთხილად გადადის,  
 ხეებს ტოტბექვებ უჭერება  
 წვერით აწვდილებს ცათამდის.  
 უცებ იქნა სიმღერამ,  
 მიონერულმა სიმღერამ,  
 მოვარდა არაკვივით და  
 ჩანჩქერბივით იღვრება.  
 გოდერძი იწყებს, მოსძახის —  
 იმას ლელა და უშიშა, —  
 ეთხოვებიან მთა-გორებს  
 მართვინი კლდიან ბუღისა.  
 უხარით — არ გააწვილა  
 გოდერძი პაპა ბერიდამ,  
 მოხუცნი ჩასახლებლად  
 რომ დაითანხმა ერთიან.  
 მიდიან, ბარად მიდიან,  
 კვალდაკვალ მისდევთ არაკვი. —  
 დაე გალადღეს სამგორი  
 მკვამეზოდღელთა ბარაკით.



5.


ბარისასოში მანქანებს  
 გაატეთ გუგუნით, ღრჭიალი,  
 შეყრილან ხევსურთიდან  
 აქ მძივებ-ლინფილიანნი —  
 ურიცხვი ქალი და კაცი,  
 ურიცხვი ბარც-ბარხანით.  
 მიხუცებს შეუხვევით  
 სამუხუფოდ ფარ-ხმალი;



არ სძინებია მთელ ღამეს,  
 გოდერძი ისე ღელავდა,  
 სექტემბრის ღამე, ხანმოკლე,  
 ეჩვენებოდა გრძელადა.  
 სურდა ყველასთვის მიესწრო  
 ახალი სკოლის კარებთან, —  
 ამ პირველ დღით ადგომას  
 ან კი ვინ დაიზარებდა?  
 ვერ იოკებდა სინარულს,  
 აღარ იცოდა რა ექნა,  
 რადგან მას ერგო წილის ყრით  
 პირველი ზარის დარეკვა.  
 და აჰა, საგანთაილოდ  
 ღამე მოიქცა მტრედისფრად,  
 წამოუბერა ნიაგამი,  
 ფანჯრებს მოუსვა ერთი ფრთა:  
 აცნობა გამოღვიძებულთ  
 (რაც ღიღინას სურდათ, ენებათ),  
 რომ უკვე ინათლებიან  
 დღელიდან სამგორულებად.  
 წამოხტა ფეხზე გოდერძი,  
 ჩაიცვია, ცივ წყალს მიიხტა,  
 პირზე შეისხა — სიცივე  
 თითქო შეიგრძნო ჭიუხთა.  
 ესიამოუნა სიგრილე,  
 უფრო გამაგრდა, გააღლდა,  
 ჩამოირბინა და წუთში  
 გაიქცა, გზაზე გავარდა.  
 აჰა, ეს ეზოე და სკოლაც,  
 აჰა, მეორე სართულიც,  
 სვეტზე პატარა ზარია  
 ჩამოკიდული მავთულით.  
 პაუ, გოდერძის ეს ზარი  
 რამდენჯერ დაურეკია,  
 აი, ბაწარსაც შეეხო  
 და... უცქე გამოერეკია.  
 გახელდა ქვეშით — სოფილიდან  
 ერთი სიცილით, ხარხარით  
 მობრბოდნენ მოსწავლეები  
 ჩანთებით ახალ-ახალით.  
 ხელებს უქნევდნენ, ყვიროდნენ —  
 ისმოდა ხვეწნა, ხან რისხვა:  
 არამც და არამც უჩვენოდ  
 არ გაისმასო ზარის ხმა.  
 მკერე ნით შედგა გოდერძი,  
 ირგვლივ მოავლო თვალები;

ასრულებოდა სინარში  
 მრავალჯერ მონაზმანები:  
 აქამდე უწყლო ხრიოკზე  
 გაფენილიყო სოფელი,  
 იორი შემოხვოდა  
 ეზოებს მწვანით მოფენილს.  
 შორს, საღაც ძროხა ბლოდა,  
 საღაცე ყიოდა მამალი.  
 საკვამურიდან დიოდა  
 კვამლი ლაკვარდში მავალი.  
 ხან ძალდი დაიყვებდა,  
 ხან გაისმოდა კაცის ხმა  
 და თვალს იფშენდა სოფელი  
 სექტემბრის განთიადისას.  
 ძირს დაიხედა გოდერძმა  
 წარბების ათამაშებით:  
 აივანი და ეზო მთლად  
 გაეხტულოყო ბავშვებით.  
 მრავალი იყო უცნობი,  
 მრავალი იყო ნაცნობი,  
 ზოგი პატარა, ზოგს უკვე  
 თავი მოჰქონდა კაცობით.  
 ახანდე ღელავ, უშიშავ,  
 აგერ შუქიას თვალებიც  
 მუდარით მომზირალენი,

როგორღაც მონაკრძალეზი.  
 წამწამებს დაჰკიდებია  
 ზღვა სინარულის ნაკვალი —  
 თითქოს და ეუბნებინა:  
 — «რალას უყურებ? — დაჰკარის!»  
 დაჰკრა გოდერძმა და ზარამც  
 ხმაწმინდად დაიწკრიბა,  
 გასცდა ეზოს და გაცურდა  
 სოფელს მთელი მთლიანად.  
 იქიდან გამოქცეულმა  
 თბილისის ზღვამდე იარა,  
 შემდეგ აუყვა იორსა,  
 მერე მთელი იალდას;  
 არხის პირები დაკონცა,  
 დაიტყო ნიავ-ქარობა,  
 იქიდან ცაში ავარდა,  
 როგორც ტროლოას გალობა.  
 იქ კი გაიბნა პაერში  
 და ყველა მხარეს გაიჭრა —  
 ცადაიარა ტყე-ველი,  
 ცხრა მთა და ცხრა ზღვის ცხრა მიჯნა.  
 ეს ხმა მიჰქროდა ხან გაბმიო,  
 ხან ცაღვე ნაწყვეტ-ნაწყვეტად  
 და აუწყებდა სამგორში  
 ახლად სიცოცხლის დაწყებას.



# ჩვენს ეზოში

ჩვენს ეზოში ოთხი ბიჭი ცხოვრობდით, ოთხი განუყრელი მეგობარი: მე, ოთარი, გოგი და კიტა.

ყველაზე უფროსი ოთარი იყო, დიწვი, მუდამ აუტყარბელი. მე და ოთარი თვითმფრინავის მოდელმა დაგვახლოვა. როგორც კი სკოლიდან დაებრუნდებოდით, მეზობელ ეზოში ერთი მიტოვებული ფარდული იყო, იქ ჩაკეცილებოდით და მოდელის კეთებას შეგუდებოდით. მე საკმაოდ გაწაფული ვიყავი, მაგრამ ოთარი მაინც ამ საქმის უბადლო ოსტატად ითვლებოდა. ხანდახან გოგიც გვეხმარებოდა, — ჩვენი მუზმუზელა მეგობარი. ქაღალდს ან წებოს გვიმზადებდა, თან ცხვირში რაღაცას დინებდა. ძალიან გულკეთილი იყო. ტკბილეულზე გაყდებოდა, მაგრამ ერთი კანფეტაც რომ ჰქონოდა, აუცილებლად გაგვიყოფდა. მხოლოდ ეგ არის: ცოტა მშინშარა იყო. უბრალო რამეზე გული გაუსკდებოდა.. დამით ხომ კორიდორშიც ვერ გავიდოდა მართო. ამის გამო მას შეუბრალებლად დასცილიდა ჩვენი მამაცი, უსაზღვროდ მამაცი კიტა...

ოთხივეს ერთი ოცნება გვაკავშირებდა, ერთი სასუკეარი მისიანი: გადაწყვეტილი გვექონდა, როდესაც გავიზრდებოდით, მფრინავები გავმხდარიყავით.

ჩვენი საყვარელი გმირი ჭიჭიკო ბენდელიანი იყო.

მღელვარებისაგან სუნთქვაშერკულნი, თვალგაბრწყინებულნი, დაულაღვად მოეუთხრობდით ერთმანეთს, რასაც მის შესახებ ვაგიგონებდით. ჩვენ ქუდსაც კი ოდნავ გვერდზე ვიხუთავდით, რადგან ერთ სურათში იგი ასე გვენახა. ხოლო როდესაც ჩემმა და ოთარის პლანერმა საქალაქო შერკებაზე პრიზი აიღო, იცით ვისი სახელი დავარქვეით ამ პლანერს? მისი, ჩვენი საამაყო გმირის...

ბენდელიანის სიმამაცეს ვაძაგვდით, როდესაც თავს მემომარ მფრინავებად წარმოვიდგენდით და ერთმანეთს დმუილით დაგვეჯახებოდით. მშვიდი ოთარიც კი გაცხარდებოდა, ფრთხილი გოგი თავს არ იზოვავდა. პირველობას არც ერთი არ ვთმობდით, მაგრამ შეუპოვარ ბრძოლაში გამარჯვებული, უფრო ხშირად, კიტა გამოდიოდა. სხარტი, ტან-მკვრივი, მკვირცხლად დატრიხლდებოდა იგი და ჩვენთვის უცნობი ხერხებით ძირს დაგვეცემდა. შემდეგ, თვითმფრინავით მკლავებგაშლილი, თავს დაგებზულოდა.

შეუპოვარი ბიჭი იყო კიტა, მოხერხებული და გამბედავი. ამიტომ ყველა ჩვენი თამაშის სული და გული ის იყო. ჩვენ უკვლავურში უკან მივეყვებოდით მას და, ალბათ, არც ვინანებდით, რომ ერთი ცული თვისება არ ჰქონოდა: კიტა საოცრად პატყემოყვარე იყო. ვაი მას, ვინც კიტას აწყყენებდა. ვერც ამხანაგების თხოვნას, ვერც მკაცრი მეუზოვის მუქარას შეეძლო მისი შურისძიების შეჩერება. შურისძიება კი ავი იცოდა კიტამ...

მოულოდნელად მისი მრისხანება თავს დაატყდა მოხუც ექიმს.

იგი ჩვენს ეზოში ცხოვრობდა. მისი ბინა სწორედ იმ ბინის გვერდით იყო, მეორე სართულზე, სადაც ჩემს მოშობლებთან და უმცროს ძმასთან ერთად მე ცხოვრობდი. აივანი სავალი გვექონდა, ხოლო ექიმის მხარე ფანერის კედლით იყო გადატყინებული. კედელს პატარა კარები ჰქონდა, თითქმის ყოველთვის მჭიდროდ მიხურული. ამ კარებს იქით ცხოვრობდა მოხუცი ექიმი თავისი კუდბუთქუნა ფინია ძალით.

ამბობდნენ, რომ მოხუცს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც სადღაც რაიონში მსახურობდა.

როდესაც კარგი დარი იდგა, ექიმს აივანზე ვხვდავდით დიდ სავარძელში ჩაფლულს. აივნის მეჩხერი რიკულებიდან ჩვენ ვამჩნევდით: იგი ყურნალ-გაზეთებს ათვავლიერებდა, თან მის ფერხითი მთვლემარე ფინიას ეალერსებოდა. ხშირად, მოხუცთან სტუდენტები მოდიოდნენ. ისინი უხმაურად ამოვიდოდნენ აივანზე და მოკრძალებით დაუკაკუნებდნენ. კარებში გამომჩნდებოდა გამხიარულებული მოხუცი ექიმი, ხოლო შემდეგ დიდხანს ისმოდა მისი ხმამალალი ლაპარაკი.

ყოველ დილით, როდესაც ჩვენ ეზოში ვთამაშობდით, მოხუცი ექიმი სვენებს-სვენებით, კბიბის სახელურზე დაყრდნობილი, ჩამოვიდოდა მალდიდან და ნელი ნაბიჯებით გადაჭრიდა ეზოს.

მალად იყო და გამხდარიც.

ზამთარ-ზაფხულ მწკანე, ბუსუსებიანი შლიაპა ეხურა. როდესაც ქუდს მოიხდიდა თხელი, ქალარა თმევი ოფლისაგან საფეთქლებზე ეკვროდა. ხელში მსხვილი ყავარჯენი ეჭირა, რომელიც, როგორც ოთარი ირწმუნებოდა, რაღაც წარწერით იყო მოსევალებული.

მოხუცი უხმოდ ჩაგვივლიდა გვერდს და ალაყაფის კარებს მიეფარებოდა.



არ გვახსოვს რომ მოხუც ექიმს ოდესმე დავე-  
ტუქსეთ ან მშობლებთან დავესმინეთ, როგორც  
ჩვენს მეგობრებს გიგოს.

ჩვენ ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით, საერთოდ  
არ ვაჭუხებდით მას, მაგრამ... მოხდა ერთი შემ-  
თხვევა. ო, ჩვენ არასოდეს დავგავიწყდებთ ის დღე...

კიტას სარდაფში დაქანგული ზარი ვიპოვეთ.  
ზარი რის მაქნისია, თუ დასარეკად არ გამოიყენე-  
ეზოში გამოვიტანეთ, ენაზე თოკი მოვაბით და შე-  
მოკვარით. ისეთი განგაში ატყდა, თითქოს ხანძარი  
გაჩენილაო. აივანებს მოაწყდნენ დიასახლისები და  
გულგახეთქილი გვოვნიბი. ვაგვიჯავრდნენ, დავე-  
ტუქსეს. ვიცოდით, რომ ამ ამბავს ჩვენი მეგობრები  
ადვილად არ შეგვარჩენდა და ალაყაფის კარებს  
მივაშურეთ. უცბათ რაღაცამ ბრავგანი მოიღო, მო-  
ვიხედეთ: კიტა ასკინკილით გარბოდა. იქვე ყვარ-  
ჯენი ივდო, მოხუცის ყვარჯენი. მზის შუქზე გა-  
მომწვევად ბრწყინავდა წარწერა... ჩვენსკენ ქაქა-  
ნით მოექანებოდა სასტიკი მეგობრები, ხოლო მის  
ზურგს უკან, დაბნეული სახით, მოხუცი ექიმი დავი-  
ნახეთ. ყველამ სასწრაფოდ მივაშურეთ მეზობელ  
ეზოს, სადაც მიტოვებულ სარდაფში მოდელეების  
სახელოსნო გვექონდა.

კიტა საშინლად განრისხებული იყო. მთელი სხე-  
ულით მუშტივით შეკუმშული, თვალებს აბრიალებ-  
და და მხოლოდ ამას იმეორებდა:

„მაგრად რომ მომხვედროდა, რას იზამდა?..  
მაგრად რომ მომხვედროდა, სად მიდიოდა?..“

ასეთი ჩუმი მოხუცი და თურმე როგორი ყოფი-  
ლა! ახლა ნახოს, როგორ უნდა ყვარჯენის სროლა...  
რა ვიცოდით მაშინ, რომ ის ყვარჯენი მოხუც-  
მა ექიმმა კი არ გვესროლა, არამედ მეგობრებმა!  
რა ვიცოდით?..


„ნუ იცი ყოველთვის აგრე, — უკმაყოფილოდ  
მიმართა ოთარმა კიტას, — რა მოხდა ისეთი?“

გოგამ თვალები დააფახულა და დაზგას ამოე-  
ფარა.

იმ დღიდან კიტა მოსვენებას არ აძლევდა მო-  
ხუც ექიმს. თანაც მისი ოინების მონაწილე, უნებუ-  
რად, ჩვენც აღმოგჩნდებოდა ხოლმე.

ჩვენს მიერ აშვებული ერქანი, ან თვითმფრინა-  
ვის მოდელი, კიტას წყალობით, მაინცდამაინც ექი-  
მის აივანზე გადმოდგმულ ქოთნის ყვავილებს წამო-  
ედებოდა. ბურთსაც კი კიტა მაინცდამაინც ისე  
აავლედა, რომ საფარძელში მჯდარ ექიმს მოხვედ-  
როდა.

მოხუცი გატყეხილი ქოთნის მაგივრად ახალს ყი-  
დულობდა, ხოლო ბურთს ისევ უკან გადმოგვიგ-  
დებდა უსიტყვოდ.



„კიტა, — ვეუბნებოდით, — დაანებე თავი მოხუცს. გეყოფა“.

მე პირდაპირ განვუცხადე:

«თუ კიდევ ჩაგიდენია მსგავსი რამ, შენთან ამხანაგობას თავს ვანებებ-მეთქი».

არაფარს გვმტყვოდა. უკმეხად ზურგს შეგვაქცევდა.

მოხუცი ექიმი აღუშფოთებელი იყო. ერთხელ მაინც გამწყურალიყო, ერთხელ მაინც ეთქვა რამე...

კიტა რაღაცნაირი გაბოროტებით ებრძოდა მის მოთმინებას.

ერთხელ, როდესაც მოხუცი ექიმი შინ არ იყო, კიტა ჩემთან ამოვიდა. მთხოვა: მოდი, მოხუცის ფინია გარეთ გამოვიყვანოთ, ცოტა ხანს ვთამაშაოთ, თორემ რასა ჰგავს, სულ ჩაკეტილშაო.

შეგვყოყმანდი, მაგრამ, ვიფიქრე: რაკი ასე ზრუნავს ამ ფინიაზე, იქნებ მოხუცზეც გული მოუბრუნდეს-მეთქი.

ჩემი აივნის ღუშალიდან ნახევარი ტანით გადაწოლილი, ექიმის აივანზე აღმოჩნდი. თოკზე გამობმული ხორცის ნაჭრით ფინია მოვიტყუე და ეზოში ჩამოვიყვანე.

მაღე ოთარი და გოგიც შემოგვიერთდა. ისე გავერთეთ თამაშით, რომ ფინია სულ გადაგვაგვიწყდა.

უცბათ საშინელი ყვფა მოგვესმა. კიტას შეუმჩნევლად აეშვა ეზოს ნაგახი, რომელიც საბრალეო ფინიას უტყვდა.

ფინიას კუდი აეპრიხა და ერთიციქნად გადაქცეული ხან შეშინებული უყყვდა ნაგახს, ხან კიდევ საცოდავად კრუსუნებდა.

ყველანი აღუშფოთებული ვიყავით. კიტა ფერდაკარგული იდგა და ტუჩებს იცენეტდა.

სამასხურიდან დაბრუნებულ დედასა და მამას მეუზოვე გოგომ დაწვრილებით მოახსენა ყველაფერი, რაც უღიდესი სიამოვნებით დაადასტურა ჩემმა უმცროსმა ძმამ, ჩასუქებულმა ვერაგმა. მშობლებიხსაგან საკმაოდ მოხვდა.

უნდა გენახათ ჩემი ძმის დამცინავი სახე, როდესაც იგი ახალ ხალათში გამობრანჭული, ყელზე დიდი ბანტით, მამასთან ერთად სასეირნოდ წაბრძანდა...

მეორე დღეს ფარდულში შევიკრიბეთ. არც ერთს არ გვიჩიოდა ხმა გაგვეცა კიტასათვის. ხოლო როდესაც ოთარმა მკაცრად მიმართა, დაანებებ თუ არა მოხუცს თავსო, კიტამ მრისხანედ შეხედა მას:

«კი, მაგრამ ყავარჯენი?»

ჩვენ მივხედით, რომ კიტას ვერ ებატებიანა მოხუცისათვის იმ ყავარჯენის გამო, რომლითაც მის

წინააღმდეგ ასე სასტიკად გამოილაშქრეს და რომელზედაც რაღაც წარწერა იყო.

რა გველონა — არ ვიცოდით.

ერთ დღით მაღაზიაში პური ვიყიდე და სახლში ვბრუნდებოდი. მოხუცი ჩვეულებისამებრ, კიბეებზე ჩამოვლიოდა. მე კიბის ბოლოში გაგჩერდი და გზა დავეთვე. მოხუცმა, კიბეები ჩამოათავა, ყავარჯენი იქვე მიაყვდა და პაპაროსისთვის ჯიბეში ხელი ჩაიყო. მოულოდნელად საიდანღაც კიტა გამოჩნდა, ყავარჯენს ხელი დასტაცა და ეზოს კარებში მიმაღლა.

მოხუცი გაოგნებული იდგა. რატომღაც შლიაპა მოიხადა, ხელში დაჭმუჭუნა და ისევ დაიხურა. მე ვიდექი და დაბნეული მიგჩერებოდი მას.

და მოხდა ისეთი რამ, რაც ახლაც, როდესაც მას შემდეგ ათი წელი გავიდა, აუტანელ სირცხვილს მგვრის... მოხუც ექიმი ტუჩები უთრთოდა. ახლაც ყურებში მიდგას მისი აკანკალებული ხმა:

— ყა... ყავარჯენს მომიტანთ... ხომ მომიტანთ?..

იმავე წუთს მრისხანე შეძახილი მომესმა:

— მანდ დამიდექი, შე ყაჩაღო, შენა!

მაღლა ამართული ცოცხით ჩემსკენ მოექანებოდა სასტიკი მეუზოვე.

თვალს დახამხამებაში მოგწყვდი ადგილს და მეორე ეზოში ჩვენს ფარდულს მივაშურიე.

იქ კი ასეთი სურათი დამხვდა: მოხუცის ყავარჯენი საღურგლო დაზგაზე აყეულებინათ, ხოლო ბიჭები ზოგნი პირდაღებულნი და გარინდებულნი, ზოგნიც აღტაცებული სახითა და გაბრწყინებული თვალებით, გარშემო იდგნენ. ოთარს თვითმფრინავის ფრთა შერჩენოდა ხელში, გოგის ცრემლები ედგა თვალგზებში, ხოლო კიტა... კიტას თითი პირში ჩაეღო და დამნაშავესავით თავი ჩაექინდრა. მე რომ შევივდი, უსიტყვოდ ყავარჯენზე მიმითითა.

ყავარჯენი ხელში ავიღე და წვრილი, ორმწყრივად გაყოლებული წარწერა ამოვიკითხე:

„ჩემო მკურნალო, მანამ ხელიდან არ გაგვარდნოდეს ეს ჯოხი, სანამ მზის სხივი მოგწყინდებოდეს...“

თვალთ დამიხნულდა. წარწერა მთავრდებოდა იმ მფრინავის სახელითა და გვარით, ვისი უსაზღვრო სიამამაცე ჩვენს აღტაცებას იწვევდა, ვისაც ასე გულმოდგინედ ვბაძავდით ყოველთვის.

ფარდული თითქოს ერთბაშად განათდა.

ოდნავ ირხეოდა ჭერზე ჩამოკიდებული ჩვენი პრიზიანი მოდელი — „ჭიჭიკო ბენდელიანი“.

„ახლა რაღა ვქნათ? — შესძოდა აქეთ-იქიდან.

„ხედავთ, რა ყოფილა?“

„ხომ ნამდვილად მისი წარწერაა?“

„ვერა ხედავ? მისია...“



ყვარჯენი ხელში ავიღე და წვრილი, ორწკრივად გაყოლებული წარწერა ამოვიკითხე.

ყველანი საქციელწამხდარნი ვიყავით. თავს ერთნაირად დამნაშავედ გვრძნობდით. ყვარჯენი დაზგაზე იდო და ხელის ხლება ვეარვის გაგვებდა.

ვიგონებდით ყველა იმ ოინებს, რომელიც მოხუცის წინააღმდეგ ჩაგვედინა და პატიებას არსაიდან ველოდით.

შემკრთალი ვუცდიდით, რომ აი, საცაა შემოვიდოდა მოხუცი ექიმი და მასთან ერთად იგი, ჩვენი საყვარელი გმირი, ჩვენი მფრინავი...

რა უნდა გვეთქვა, რით უნდა გვემართლებინა თავი?

გვეთქვა, რომ ყველაფერი კიტას ბრალია, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, რომ...

კი, მაგრამ კიტა ხომ ჩვენი ამხანაგი იყო.

კიტა აღთქმას იძლეოდა: მხოლოდ ახლა ეპატიებინათ, მხოლოდ ახლა გადარჩენილიყო და არა

სოდეს, თავის სიცოცხლეში, არც ერთ მოხუცს არ აწყენინებდა...

როდესაც ცოტა დაგმუშვიდით, გადაგწყვიტეთ ყვარჯენი როგორმე ჩუმად დაგვებრუნებინა მოხუცისათვის. მისი ახლო მეზობელი მე ვიყავი და ეს საქმეც მე ვიკისრე.

ყვარჯენი იღლიაში მეღო და გული გამაღებთ მიცემდა, როდესაც დიდი სიფრთხილით გავძვერი ეზოში და მეორე სართულზე ავიპარე. ყვარჯენი ფრთხილად გადავდე მოხუცის აივანზე და ძირს დავეშვი.

ზურგუსკან კიდეც დიხანს მესმოდა ფინიას ყუფა.

## ინდური ზღაპრები

### ხუთი პური

ერთი კაცი ყოველდღე ბაზარში დადიოდა და ხუთ პურს ყიდულობდა. ერთხელ მეგობარი შეხვდა და ჰკითხა:

- მითხარი, რატომ ყიდულობ ხუთ პურს? მან უპასუხა:
- ერთს მე ვჭამ, ორს ვასესხებ, ორს კი ვალში ვიხდი.
- არ მესმის, — უთხრა მეგობარმა, — განმიმარტე.
- აი, როგორ: ერთს მე თვითონ ვჭამ, ორს ბავშვებს ვაძლევ, ორს კი დედას და მამას.

### ჯანაინი ექიმი

- ექიმთან ერთი კაცი მივიდა და უთხრა:
- ბატონო ექიმო, მუცელი მტკიავა, მიმკურნალეთ!
- რა ჭამე გუშინ? — ჰკითხა ექიმი.
- მკვანე ხილი! — უპასუხა ავადმყოფმა.
- მაშ, აჰა, თვალის წამალი!
- რატომ თვალის?
- იმიტომ, რომ შემდეგისათვის უკეთ დაინახო რას სჭამ!



# მოლალოცის დედა

დედაზე სალაპარაკო არ გამოილევია.  
 უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში ქალაქი გარშემორტყმული იყო ახაჯარასხმული მტრის ვიწრო რკალით. დამლაპარაკებოთ ანთებდნენ კოცონებს. წყვდიადში ცვეხლი ნიშნის-მოკებით ელვარებდა და საშინელ ფიქრებს იწვევდა ალყა-შემორტყმულ ქალაქში.

ქეღობიდან ხედავდნენ, როგორ ვიწროვდებოდა მტრების მარუჯუ, ხედავდნენ, როგორ გაიფიქვებდნენ კოცონთა ირგვლივ მათი შავი ღანდები. ისმოდა გამაძლარ ცნენთა ჭიხვიანი, იარაღის ელარუნი, ხმამაღალი ხარხარი, ისმოდა მხიარული სიმღერა ადამიანებისა, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში—და რა შეიძლება გესმოდეს უფრო მტარჯველი, ვიდრე სცილილი და სიმძლავრე მტრისა.

მტრებმა ვეგებობით აავსეს წყაროები, რომელნიც წყალს აწვდიდნენ ქალაქს. მათ გადაწვეს ქალაქის გარშემო ვენახები, გადათუნეს ყუნები, აჩეხეს ბაღები—ქალაქი და იყო ყოველი მხრიდან და მტრის ზარბაზნები და მუშუკებით თითქმის ყოველდღე თუჯას და ტყვიას უშენდა მას.

ვიწრო ქუჩებში პირქუშად დაბაიჯებდნენ ნახევრადშვირ, ბრძოლებით დაქანცულ ჯარისკაცთა რაზმები; სახლების ფანჯრებიდან მოისმოდა დაპირილითა კენესა და გოდება, ქალღმების ლოცვა და ბავშვების ტირილი.

ლაპარაკობდნენ სასოწარკვეთით, ჩუმად; ღაპარაკის დროს ერთმანეთს აწვევდნენ სიტყვას და დაბაიჯულად უსმენდნენ—ზომ არ ვადგომდიან მტრეთა შეტევაზეო.

განსაკუთრებით აუტანელი ხდებოდა ცხოვრება დამით, როცა სისუფეში უფრო მკაფიოდ გაისმოდა კენესა და ტირილი, როცა შორეული ხეობებიდან გამოძვრებოდნენ ადამიანების შავი ღანდები და მოემაშობოდნენ ნახევრადდაწვრული კედლებისაკენ, ხოლო მთების შავი ქონგურების თავზე გამაჩნდებოდა მთვარი, რომელიც ლახვარჩაქემულ, დაკარგულ ფარს დამხავსებოდა.

გაქირავებისაგან, შიმშილისაგან ილაჯავაწვეტილი ადამიანები, რომლებიც არასიდან არ ელოდნენ შვილას, დღითიდღე მკარგავდნენ იმედს და შიშით შესცქეროდნენ ამ მთვარეს, შორეული მთების მწვერვალებს, ჩანჩქელებულ ხეობებს და მტრის ახმარებულ ბანაკს—მათ ყველაფერი სიკვდილს აჯონებდა და ერთი ვარსკვლავიც კი არ კიაფობდა მათად ხანუგეშოდ.

სახლებში შიშობდნენ სინათლის ანთებს, წყვდიადი ფარავდა ქუჩებს და ამ წყვდიადში, როგორც თევზი მიდნარის სიღრმეში, უსიტყვოდ ვიწოდდა შავი მოსასხამში შებურთული ქალი.

მის დანახვავე გამველებით ერთმანეთს ეკითხებოდნენ:  
 — ის არის?  
 — ისაა!

და ქიშკრებში იმალებოდნენ. ანდა თავჩაღუნულები უხმოდ აუცილებდნენ გვერდს, ხოლო გუშავები მკაცრად აფრთხილებდნენ მას:

— თქვენ ისევ ქუჩაში ხართ, მარანა? იცოდეთ, შეიძლება მოკლან და არავინ გამოგეხარჩლებათ...

იგი გასწორდებოდა წელში, იცდიდა, მაგრამ გუშავი ჩავივლიდა, ვერ ბედავდა, ან ზოლი აჩერებდა, რომ მოეცლა იგი. შეიარაღებული ადამიანები გვერდს აუცილებდნენ მას, როგორც ვაჟს, ის კი რჩებოდა სიბნელეში და ისევ ჩუმად, მარტო შიშობდა საღვად, გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე, დადუმებული და შავი, თითქმის ის ყოველიყო ქალაქის უბედურების განსახიერება. ირგვლივ კი საცოდავად მოისმოდა მწუხარების ხმები: კენესა, ტირილი, ლოცვა და იმედდაკარგულ ჯარისკაცთა დაღონებული ღაპარაკი.

მოქალაქე და დედა, იგი ფიქრობდა შვილზე და სამშობლოზე: იმ ხალხს, რომელიც ანგრევდა ქალაქს, მეთაურობდა მისი შვილი—მხიარული და უღმობელი ღამაში ვაჟკაცი. სულ ცოტა ხნის წინათ დედა სიამაშო შესცქეროდა მას, როგორც მთლიანობას საჩუქარს საშობლობისთვის, როგორც კეთილ ძალს, რომელიც მან შობა ქალაქის მკვიდრთა დასახმარებლად, იმ ქალაქისა, სადაც ის თვითონ დაიბადა, სადაც შობა და ძუძუ აწოვა შვილს, რაღაც უსილავი, უწყვეტი ძაფები აკავშირებდა მის გულს იმ უძველეს ქვეთანს, რომლისგანაც მისმა წინაპრებმა ააგეს სახლები და ქალაქის გალავანი, მიწასთან—რომელშიც დამარხული იყო მისი ნათესავების ძეგლები; იგი დაკავშირებული იყო ლეგენდებთან, სიმღერებთან და ხალხის იმედებთან. ეს გული კარგავდა ყველაფერ ახლომდებლად აღმზანს და ტირილად გულში; იგი სასწორის ჭავდა, მაგრამ შვილისა და ქალაქისადმი სიყვარულს წინადა, და ვერ გაეგო, რა იყო უფრო მიატო და რა უფრო მძიმე.

ასე დადიოდა ის ქუჩებში დამლაპარაკებოთ, და ბევრი, ვინც ვერ იცნობდა, უფრთხობდა, რაღაც მის შავ ფიჭურას მიახლოებულ სიკვდილის განსახიერებლად თვლიდა; ხოლო თუ იცნობდნენ, ჩუმად შორდებოდნენ მოლალოცის დედას.

ერთხელ, მიყრუებულ კუთხეში, ქალაქის გალავანთან, მან დაინახა ერთი ქალი, რომელიც დაჩოქილიყო ცუდების წინ, გაქვავებულივით იდგა და სევდიანი სახე ზეცისაკენ მიყვრო. მოლალოცის დედამ ჰკითხა:

- ქმარი?
- არა.
- ძმა?
- შვილი. ქმარი ცაბეტი დღის წინათ მომიტყვეს, ეს კი დღეს... და ფეხზე წამოღვა მოკლულის დედა:
- დღისწამობელი ხედავს ყველაფერს, მან ყველაფერი იცის და მე მაღლებელი ვარ მისი!
- რისთვის!—ჰკითხა მოლალოცის დედამ. ქალმა უბასუხა:

— ახლა, როცა ის პატიოსნად დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში, მე შემიძლია ვთქვა, რომ შვილი ჩემში შიშს იწვევდა:

— უღარდელს, ძალზე უყვარდა მხიარული ცხოვრება და ვსომოხები, რომ ამისათვის იგი ქალაქს უღალატებდა, როგორც ეს მარიანას ვაჟმა ჩაიდინა, დღისთა და ხალხის მტერმა, ჩვენი მტრების წინამძღოლმა. წყუდილიც იყოს ის და დედის საშო, რომელმაც ის შობა!..

მარიანამ სახეზე ხელები აიჭარა და მოშორდა ქალს. მეორე დღით ის მოვიდა ქალაქის მცველებთან და მიმართა მათ:

\* იბეჭედა მცირეოდენი შემოკლებით.



უსიტყვოდ ვიდოდა შეე მოსახსამში შებურთული ქალი.

— ან მომკალით იმისათვის, რომ ჩემი შვილი თქვენს მტერი გახდეს, ანდა გამიღეთ კარი, მე მასთან წავალ...

მათ უბასუხეს:

— შენ აღამიანი ხარ და სამშობლო შენთვის ძვირფასი უნდა იყოს; შენი შვილი ისეთივე მტერია შენი, როგორც ყოველი ჩვენთაგანის.

— მე დედა ვარ, მე ის მიყვარს და თავს დანაშაუდვად ვთვლი, რომ ის ასეთი გახდა.

მამინ მათ მოითათობირეს, როგორ მოქცეოდნენ მოლაღობის დედას და გადაწყვიტეს:

— ჩვენ არ შეგვიძლია შენი მოკვლა შვილის ცოდვისათვის. ჩვენ ვიცით, რომ შენ ვერ შთაუწერავდი მას ამ საშინელ ცოდვას და ვგრძნობთ, რარიც იტანჯები, მაგრამ შენ ქალქისათვის მიველადაც კი არ ხარ საჭირო,—შენი შვილი არ ზრუნავს შენზე; ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ წყევლმა დაგვივიწყა და—აი შენ სასჯელი, თუკი ფიქრობ, რომ დაიშახურე ეს: ეს ჩვენ სიკვდილზე საშინელი გვჯობია.

— დაახ, ეს უფრო საშინელია,—თქვა მან.

მას გაუღეს ალაყავის კარი, გაუშვეს ქალაქიდან და დიდხანს უყურებდნენ გალანნიდან, როგორ მიდიოდა მშობლიურ მიწაზე, რომელიც უხვად იყო მორწყული მისი შვილის მიერ დადგრილი ხისხლითა. იგი მიდიოდა ნელა, ახალისა თ; მოდადგრილი თავს ხრიდა ქალაქის დამცველთა ცხედრების წინაშე, ზოხლით ჰკრავდა ფეხს დალქვილ იარაღს — დედებს სძულთ თავლახსმის იარაღი, მათ წინაშე მხოლოდ ის იარაღი, რომლითაც სიცოცხლეს იცავენ.

მას თითქოს ხელში ეტერა მოსახსამგადაფარებული, წელით ხახე სასმისი და შიშობდა არ დადგროდა. ის მარადეოდ ქალაქს, სულ უფრო პატარავდებოდა, ხოლო მათ, ვინც გალანნიდან უყურებდა მას, ასე ეგონათ, თითქოს მასთან ერთად შორდებოდათ მწუხარება და უიმედობა.

დაინახეს, როგორ გაჩერდა ის შუაგზაზე, თავიდან გადაიგდო მოსახსამის კაბიუშონი და დიდხანს უყურებდა ქალაქს. იქ კი, მტრების ბანაკში, შენიშნეს მინდორზე მარტოდმარტო მიმავალი ქალი და აუჩქარებლად, ფრთხილად უახლოვდებოდნენ დედას მასავით შავი ფაგურები.

მივედნენ და ჰკითხეს: ვინა ხარ და საით მიდიხარო? — თქვენი წინამძღოლი ჩემი ვაჟია,—თქვა მან და არცერთ ჯარისკაცს ექვი არ შეშპარავია. მიხეებოდნენ გვერდით და ქება-დიდებათ უამბობდნენ იმის შესახებ, თუ რა ჭკვიანი და გულდა მისი ვაჟი. ქალი ამაყად უხმენდა მათ და არც უპირდა—მისი ვაჟი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო.

და აი, ის წარსდება იმ აღამიანის წინაშე, რომელსაც თქვენობდა ცხრა თვით აღდე მის დაბადებამდე, იმ აღამიანის წინაშე, რომელიც არასოდეს გულიდან არ ამოუგდია. ვაჟი იდგა დედის წინაშე, აბრეშუხსა და ხავერდში გამოწყობილი და მისი იარაღი ძვირფასი ქვევით იყო მოქედილი. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა ყოფილიყო. ბევრჯერ სწორედ ამ სახით უნახავს იგი დედას სიზმარში—მდიდარი, სახელგანთქმული, ყველასათვის საყვარელი.

— დედა,—მომაროა მან და ხელები დაუოცნა დედას,— შენ ჩემთან მოხვედი, მაშასადამე გამიგე, ხვალ კი ავიღებ ამ დაწყვეილ ქალაქს.

— სადაც შენ დაიბადე!—მოაგონა დედამ. თავბრულახვეული, კიდევ მტეი დიდების წურვრლით გონებაარეული, ის ლაპარაკობდა თავხედური, ახალგაზრდული გატაცებით:

— მე დავიბადე ქვეყანაზე და ქვეყნისათვის, რათა გავაოცო იგი. მე უფოავდი ამ ქალაქს მხოლოდ შენი გულსთვის—ის ეკალივით მესობა ფეხში და ხელს მიშლის ძეს სწრაფად ვიარო დიდებისაკენ, როგორც მე მიიდა. მაგრამ ხვალ კი დავანგრეე ურჩების ბუდე.

— სადაც ყოველ ქვას ახსოვს შენი ბავშვობა,—თქვა დედამ.

— ქვა მუნჯია, თუ აღამიანმა არ ააღაპარაკა იგი; დეა მთებმა ილაპარაკონ ჩემზე, აი რა მინდა მე.

— მაგრამ ხალხი?—ჰკითხა დედამ.

— შო, მე ხალხი მახსოვს, დედა! მე ხალხი მჭირდება, რადგან გმირები მხოლოდ აღამიანთა ხსოვნაში არიან უკვდავნი, დედა მითუგო:

— გმირი ისაა, ვინც სიცოცხლეს ქმნის სიკვდილის წინააღმდეგ ვინც სიკვდილზე იმარჯვებს...

— არა!—შეედავა შვილი.—მწერეველი ისეთივე დიალი, როგორც შენეველი. დააკვირდი—ჩვენ არ ვიცით ვინ ააშენა რომი—ენემი თუ რომულმა, მაგრამ ცნობილია აღარისხისა და სხვა გმირების სახელი, რომლებიც ანგრევედნენ ამ ქალაქს...

— ქალაქს, რომელმაც ყველა სახელზე მეტ ხანს გახსნა,—მოაგონა დედამ. ასე ელაპარაკებოდა ვაჟი დედას მშის ჩახვალზე. დედა სულ უფრო და უფრო იშვითად აწყვეტებდა უფუფურ სიტყვებს და სულ უფრო და უფრო ძირს ისრებოდა მისი ამაყი თავი.

დედა ქმნის, დედა იცავს და მის წინაშე ნგრევეთა ლაპარაკი მის წინააღმდეგ ლაპარაკს ნიშნავს, ვაჟმა კი არ იცოდა ეს და ნათიოდება დედის ცხოვრების აზრს.

მთების შავი მწვერვალებიდან ველზე ეშვებოდნენ დრუმ-  
ლები და ფართოსანი რაშებივით მიჰროდნენ სასიკვდილოდ  
განწირული ქალაქისაკენ.

— შეიძლება ღამითვე მოვაწყო ქალაქზე თავდასხმა, —  
ამბობდა მისი ვაჟი, — თუ ღამე საკმაოდ ბნელი იქნება. უსერ-  
ხულია ადამიანების კვლა, როცა მზე თვალეში გიყურებს  
და იარაღს ელვარება აბრმავეს მათ, — ამბობდა ის და თა-  
ვის ხმალს ათვლიერებდა.

დღემ უთხრა:

— მოდი აქ, მკერდზე მომეყრდენ, დაისვენე და მოიგონე,  
როგორი მხიარული და კეთილი იყავი ბავშვობაში და რა-  
რიგ უყვარდი ყველას...

შვილმა დაუჯერა და მუხლებზე დაადო თავი, თან დას-  
ძინა:

— მე მიყვარს მხოლოდ დიდება და მიყვარხარ შენ, რად-  
გან მხოვნი ასეთი, როგორიცა ვარ,

დღემ უკანასკნელად ჰკითხა:

— შენ არ გინდა, შვილები გყავდეს?

— რისთვის? იმისთვის, რომ მოკლას ვინმე ჩემგვარი  
მოკლავს მათ, ეს კი ჩემთვის მტკივნეული იქნება. მაშინ  
უკვე ბებერი და სუსტი ვიქნები, რომ შური ვძიო.

— შენ ლამაზი ხარ, მაგრამ უნაყოფო, როგორც ელვა, —  
თქვა დღემ და ამოხსენებდა.

მან ღამით უპასუხა:

— მო, როგორც ელვა...

დღეა ყოველთვის სიკვდილის წინააღმდეგია. ხელი, რო-  
მელიც სიკვდილს თეხავს ადამიანთა შორის, საშუალები და  
მტრულია დედისათვის. შიხი ვაჟი, დაბრმავებული დიდების  
ცივი ბრწყინვალეობით, ვერ ხედავდა ამას.

მან არ იცოდა, რომ დღეა ისეთივე უშეშარია, როგორც  
კვიანი, დაუნდობელია იგი, თუ საქმე სიცოცხლე ეხება,  
რომელიც დღეა ქმნის და იცავს.

ქალი იჯდა მოკუნტული და წინამძღოლის მდიდრული  
კარვის ფარდებიდან ხედავდა ქალაქს, სადაც მან შობა ბავ-  
შვი, რომელიც ახლა დანგრევით ემუქრებოდა მას.

დღეა ხედავდა ჩაზნელებულ სახლებს, სადაც მტრის ში-  
შით სანთელი ვერ აენთოთ, თითქოს ხედავდა გვამებით და  
ღემით სახე ბნელ ქუჩებს, — თისმენდა სასიკვდილოდ განწი-  
რულ ადამიანთა ჩურჩულს, — იგი ხედავდა ყველას და ყვე-  
ლაფერს. ნაცნობი და მოშობიური იდგა მის წინაშე და უხ-  
მოდ ელოდა მის გადაწყვეტილებას. და ისიც თავს გრძობდა  
თავისი ქალაქის ყველა მცხოვრების დედად.

და ბავშვივით ჩათვლიმა დედის მკერდზე.

მაშინ დღემ გადაასურა შვილს თავისი შავი მოსახსამი  
და გულში ჩასვა დანა. ვაჟი შეთრთოლდა და მაშინვე მო-  
კვდა — დღემ რომ კარგად იცოდა, სად ფუტკავდა შვილის  
გული. ცხედარი დააგდო გაოფნებული დარაჯების ფერხით  
და ქალაქის მხარეს გასხდა:

— როგორც ადამიანმა, რაც შემეძლო, ყველაფერი გავა-  
კეთე სამშობლოსათვის, როგორც დღეა, მე ვრჩები ჩემ შვილ-  
თან ჩემთვის გვიანათა მეორე შვილის გაჩენა, ჩემი სიცოცხლე  
არავის სჭირდება.

და იგივე დანა, რომელიც ვერ კიდევ თბილი იყო მისი  
ვაჟის სისხლით — თავისი სისხლით, მან მტკიცედ დაიკრა  
მკერდში და აქაც უსუსტად უსწროა გულს, — გული თუ გტკი-  
ვს, მისი პოვნა ძნელი არაა.

თარგმნა რემიკ თაბუაჯაშვილმა



# ზ ლ ა კ ა რ ი

ქალაქ ურალსკის მახლობლად კახათა დაბა კრუგლოზერ-  
ნოში გზად შეგერდით, დაჰყავთ აქ გაგათით და დილით ის იყო  
დავაპირეთ გზის გაგრძელება, რომ გაიღარი ეზოში გაიხმო  
მხიარულმა, თაფლისთვალა ქალიშვილმა. მალე გაიღარი დაბ-  
რუნდა და გამოვიცხადა, რომ მოგვიხდებოდა გამგზავრების  
შეყოფნება.

ჩვენ აგზუდუნდით და გავებუტეთ, მაგრამ გაიღარმა გაი-  
ცინა და გვიხარა, შეგვიწყვიტა ბუზლუნი და ბუტიანობა. შეყოფ-  
ნება იქნება ხანმოკლეა, საქმე სერიოზულია—მას იწყებენ სასამარ-  
თლოში.

ესღა გვაკლდა ჩვენ ავეღედით. დავუწყეთ გამოკითხვა, თუ  
რასი იყო საქმე. გუშინ, კურდღლების დღეებისას, ხომ არ გაი-  
ტანა ჩვენმა მანქანამ კოლმეურნეობის გოჭი, ან ზატი? იმითმ,  
რომ ერთხელ მაგრად შეგვიანდრია, მეორედ კი ბორბლებზეგვე  
რალაცამ დაიწვინა.

შოფერმა დაიფიცა, რომ არავითარ განსაკუთრებულ შემ-  
თხვევას დამით არა ჰქონია. შეგვიანდრია მანქანამ მხო-  
ლოდ იმითმ, რომ მისი წინა ბორბლები თხრილში ჩავარდა,  
წრიბინით კი მარცხენა რესორი წრიბინებდა—ასეთი წრიბინა  
რცინა აქვს მას.

— არ წუხართ, მეგობრებო, — გვიხარა მამინ გაიღარმა, —  
არც მე მასამართლებენ და არც თქვენ. ასამართლებენ კახაკ  
პიონერს ვასკა ფედოტიჩევს და მე და თქვენ, ასე ვთქვათ, სა-  
ხალხო მსაჯულზედა გვიწყვევენ.

— კარგი, მაგრამ საით უნდა წავიდეთ? — შეგვიკითხეთ ჩვენ.  
დაბის შვიდწლიანი სკოლის შენობის პირდაპირ, გორაკზე  
კახათა ადამიანებზე, წრე შეგერა მხედრულად და მჭობდა პიო-  
ნერთა რაზმი. ბიჭებისა და გოგონების წრეში იდგა ცისფერია-  
ლათიანი, წითელეკლასნივინი ყმაწვილი. მხნელ და ამაყე  
ეჭირა ყმაწვილს თავი, მაგრამ უნდობლად მისჩერებოდა მას  
თაფლისთვალა პიონერხელმძღვანელი, და უშაღ მისვლებოდა  
კაცი, რომ სწორედ ეს იყო ბრალდებული ვასკა ფედოტიჩევი.

პირველივე სიტყვიდან ნათელი გახდა ჩვენთვის საქმის ვითარ-  
ება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ვასკა კარგად სწავლობ-  
და და რომ მთელს დაბაში მარტო მას ჰქონდა ნამდვილი ორ-  
თვალა ველოსიპედი. ოდესღაც ვასკა არ იყო ცუდი ამხანაგი და  
პიონერი, მაგრამ გადიდებულდა ისე, მეტი რომ აღარ შეძლებდა,  
მეგობრები შემოურბნა, რგოლის ხელმძღვანელი ტოლკა თავის  
მოკალაობის შესრულების დროს გალანა, უკანასკნელად კი უზე-  
შად მოექცა მონუსე, ჭადრა ქალს — სკოლის დარაკს. და რაც  
ყველაზე ცუდია — ვასკა ფედოტიჩევი არ თვლიდა თავს დანა-  
შავედ. დაამთავრეს ბრალდებულმა ლაპარაკი. ჩამოვარდა სი-  
ჩუმე, მაგრამ ვასკა ისევე ძველებურად აქეთ-იქით იყურებოდა,  
აგვიხდებდა, ზოხილთ ქუტუბადა თვალს და იღიმებოდა.

მამინ სიტყვა პიონერხელმძღვანელმა ვალანამ აიღო.

— ყოველ დღე როდი ხდება, — თქვა მან, — ასეთი შემ-  
თხვევა, კარგი და ცუდი ადამიანების ერთმანეთთან შეხედრისა.  
შემთხვევით, ჩვენთან გზად შემოიღარა მწერლამა არკადი გაიღარმა,  
სწორედ იმან, ვინც დაწერა «სკოლა», «სამხედრო საიდუმლო-  
ება», «კავალი ტყეში», «მედიკოსის ბუღია».

პირველად აქ შეგერა ვასკა ფედოტიჩევი, ოღონდ წელში  
მოხარა, თითქმის დადებდა, და წარბეჭეტილია შეხვდა  
გაიღარმა. მან დაინახა, გაიღარის დიდი, ნათელი ცისფერი თვა-  
ლები, რომლებიც დაქინებით, ეშმაკურად მისჩერებოდნენ მას,

დაინახა გაიღარის გახსნილი ფარავა და ორდენი ხალაოზე,  
ერთხელ კიდევ შეგერა ვასკა და მიბრუნდა.

— აღ, თქვენ ერთმანეთს შეხვდით! — განაკრძობდა ვალია—  
ჩვენ აღარ გვიყვებ, გაწყვეტე ჩვენთან მეგობრობა. დე, მოგეს.  
მინის ამხანაგმა გაიღარმა, ილაპარაკე, ვასკა!

ვალა იქვე, ვასკას გვერდით ხშირ ოროვანდებში ჩაჯდა.

— რა უნდა ვთქვა... — დაიწყო მან მცირედილი ლემოლის  
შემდეგ და გაუთვლიდა. — მე, ამხანაგო მწერლამა გაიღარო,  
მათზე უკეთ ვსწავლობ და საგორილოზე ვსრიალებ. საგორია-  
ლო მაჩუქებ ბიძია ნიკოლაიმ კარგი სწავლისათვის... და მე კი  
არა ვარ დამანაშავე, ჩვენი დარაკი უსწავლეული ქალია, მას  
თქვინა წიგნებზე არა აქვს წაკითხული... გვენი მე ხან აქეთ მი-  
კარვენ თავს, ხან იქით, უმართებულად... დე, აქეთ-იქით ისინი  
გზავნიან რომელიმე...

— დამთავრე, ნუ იხვევი! — დაიძახეს ბავშვების წრიდან.

— დასამთავრებელი არაფერი მაქვს! — მკაცრად უპასუხა  
ვასკამ. — თქვენ ბევრნი ხართ, მე კი ერთი ვარ, თქვენთან შეი-  
ღება განა დამთავრო?

— მაშ ასე, — თქვა გაიღარმა, — ძალიან საინტერესოა, რა-  
ტომამა რომ ისინი ბევრნი არიან, შენ კი ერთი? იქნება სწორედ  
შენ ხარ, ვასკა, მთელ რაიონში ის უკანასკნელი ერთობროველი  
ადამიანი, რომლის შესახებაც მე გუშინ მიახმე?

— ბავშვებმა გაიცინეს.

— არავითარი ერთობროველი მე არა ვარ! — მოუთმუნდა  
და მკაცრად წამოძახა ვასკამ. — მაგრამ რად უნდა გავაკო-  
ნო, რაც მათ მოსწონთ, მე კი არა?

— ტოლკა უსრბანა რაზმს ბიძია არხიბის ბოსტანში ნესვების  
საკრეფად წასვლა. ყველანი წავიდნენ, მე კი—არა. იქ უჩემოდა  
ბავშვებს საქმე არაფერი აქვთ. პო და, მე პიონერად ხაზზე  
მიხვება — შენიშვნა მომცემ გაფრთხილებით. ბერე ვასკან? ტლ-  
კასანდა ტლკასი კი არითმეტოვანი სამიანი იქნეს. ისიც გამოი-  
ნდა რაღა მეთაური! მე პლანერს ვაკეთებდი, პლანერი — ნესე!  
კი არ არა! ბაზა არხიბის პლანერი თვალთაც არ უნახავ!

— მამსადავედ, შენ არ ჭანხერი, ვასკა! — ჰკითხა გაიღარ-  
მა. — კარგი, მაგრამ თუ ომი იქნა და ყველა წინ წავიდა, შენ  
უკან გამოიტყევი? მეთაური სროლას გიბრძანებს, შენ კარტოფი-  
ლის ფეცქინას შეუღლები?

— ომი სხვა საქმეა, — წაიბუტბუტა ვასკამ, — მე კარტო-  
ფილს არ გავფეცქვინ!

— რომ გიბრძანონ? — ჰკითხა გაიღარმა. — დამთავრდა  
ბრძოლა, შეწვალა ქვემეხებისა და ტყვიამფრეცქევის ხმა, სანგარ-  
ში მოცოდნენ ამხანაგები. მეთაურმა გიხარა: აბა, მეტყვიამ-  
ფრეცქევი ფედოტიჩე, გაფეცქვინი კარტოფილი, მოსუხარზე კერძი  
მეტროლ ამხანაგებს! შენ წუგინ იკითხავ, თუ ბუზებს დაუწყებ  
თვლას? ხომ დარჩნენ ამხანაგები მშვიდები!

— კარტოფილს ომში მზარეულები ფეცქვინან! — თქვა ვასკამ.  
— მოკლეს მზარეული! — უპასუხა გაიღარმა. — დასტერს  
ცხენი, საველე სამხარეულომ ვერ მოასწრო მოსვლა.

— მეგრე, ჩვენთან ხომ არავინ მოკლავთ! — თამამად თქვა  
ვასკამ. — რას ამბობთ ამხანაგო გაიღარო! ყველანი აი, მთელნი  
სხედან, რაზმი, მეთაურები, მე კი, სულელია, მათზე მალა  
გდგაპარ...

— ჩაწერე, — მითხარა გაიღარმა, — ყველა ამასთან, ვასკა ფე-  
დოტიჩევის ვადპარბებული სიამაყე ახასიათებს, დიდი ამპარ-  
ტავანი ხარ შენ, ვასკა, ნუთუ ყველაზე მალდა დგახარ?

— დიას!—ჯოტად თქვა ვასკამ.—მე ყველაფერი ფრიადი მაქვს, მათ კი?

— სამაგიეროდ მათ მეგობრობაში აქვთ ფრიადი, შენ კი ცული—სერიოზულად თქვა გაიდარმა.—მეგობრობა დიდი საქმეა, შენ კი ის სიამაყეზე გაცვალე. შენ, ერთი, ყველას წინააღმდეგ, ხალხის წინააღმდეგ მიდიხარ?

— ისინი განა ხალხია, ისინი ბავშვები არიან, მეტი არაფერი. ისინი ჩემზე მეტს ცელქობენ—თქვა ვასკამ.

— თამამი ხალხი ყოფილა, — გაიცინა გაიდარმა, — შენი ამხანაგები. იმის შესახებ კი, ვასკა, რომ ყველაზე მაღალი გაიზარდე და კეთილთ გახეირლხარ მთელ რაზმში, ზღაპარი არსებობს.

დედამიწის განაპირას ერთი მაღალი მთა იყო, ყველაზე მაღალი მთელ დედამიწის ზურგზე, ყაზბეგის მთაზე სამჯერ და თქვენს მთაზე სამოცდათექვსმეტჯერ უფრო მაღალი. ამ მთაზე იყო ლოდები და უფსკრულები. ამ ლოდებზე უფსკრულებიდან დახტოდა რქებდაგრებილი ბებერი თხა.

თხა თავის ჭალარა წვერით დედამიწას სწვდებოდა, ხოლო რქებით ვარსკვლავებზე ეკიდა. მაღლა, მაღლა ხტოდა თხა და არა შენზე ნაკლებად გაამაჩრტავდა, ვასკა.

მას ღაფიყდა, რომ ოცდაათი წლის წინათ ამავე მთაზე დაიბადა პატარა ციკნად, რომ ამ მთაზე გაიზარდა იგი სხვა თხებთან ერთად, და გადაწყვიტა შეემათებოდა მთას, თუ ვინ იყო მათ შორის უფრო მაღალი.

თხამ ქვებ ღილიკები დაჰკრა, ნაბერწყლები დაეაყრევინა და ისე აიჭრა მთის მწვერვალზე.

„ბებერიო, ვინ არის ჩვენ შორის მაღალი?“ — ამაყად ჰკითხა თხამ.

მთამ ნულა გაალო თავისი ქვის თვალები და შეხედა ამ ამპარტავანს.

„მე,—უპასუხა მთამ.—მე ვარ მაღალი, მე ვარ დიდი, მე ვარ უფროსი!“

„სტყუი!—წამოძახა თხამ.—მე ვარ მაღალი!“

თხამ ოთხივე ჩლიქი დაჰკრა ქვებს, მის უკან ავარდა ცეცხლის ნაბერწყლები და ის ერთი ნახტომით მოექცა თავზე მთის მწვერვალს.

„მე უფრო მაღალი ვარ, ბებერიო!“

„სულელი ნადირო!“ — ამოიოხრა მთამ და ეს ამოძახილი მუხივით გაავარდა მთელ ხეობაში. „სულელი ნადირო!“ შეირხნენ და აშრიადლენ ასწლოვანი მუხები. „სულელი თხავ!“ — შორს, დაბლა უკმაყოფილოდ დაიკიცნეს ციკნებმა.

ბებერი თხა კი ისევ ისე გაუნძრევლად, განმარტოებით, ამაყად იღვა მთის მწვერვალზე. აღარ იყო მის ირგვლივ არც მძიმე კლდეები, არც მუხის ფართო ფოთლები, რომ დეფარათ იგი აღარ იყენენ მის გვერდით აღარც ის ამხანაგები, რომლებიც აფრთხილებდნენ მას მოსალოდნელი უბედურებისაგან. სადღაც გაავარდა თოფი და თხა მკვდარი დაეცა.

განვლო წლებმა. თხის ძვლებმა დაჰფარეს მთის მწვერვალი — ის კიდევ უფრო მაღალი გახდა, ხოლო ბებერი სულელი ნადირი უკვე დიდი ხანია აღარ იყო ქვეყანაზე...

მთის მწვერვალზე სიჩუმე გაბეფდა.

— აბა, რაო, თხავ, — ჰკითხა გაიდარმა, — მოგეწონა ზღაპარი?

ვასკამ ნაბიჯი გადადგა გაიდარისაკენ.

— მე თხა არა ვარ,—თქვა მან ცრემლების ყლაპვით, — მე ვასკა ველოტიჩევი ვარ!

— გასაგებია,—თქვა გაიდარმა,—ამხანაგო ბიონერო, მომეცი შენი ხელი!

და მათ მგვარად, მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

თარგმნა ნ. ჩინლაძემ





ანდრო ლომიძე

# კაკაბი და გიურზა

ჩემი ბიჭუნა შეიდი წლისა რომ შეიქნა, საბავშვო თოფი დაამტვრია და მითხრა:

— მამიკო, შენ რომ თოფი გაქვს, ისეთი მინდა.

— შეილო, გოგია, ჯერ პატარა ხარ, დიდი თოფი აბა რად გინდა? ისეთ თოფს მთხოვ, რომელსაც ადგილიდან ვერ დასძრავ, — ვუპასუხე მე.

ღამით ვცდილობ ცულშვილი არ გავადვიძო, ფეხპარფით დავდივარ, ჩემად ვიცავ საწინააღმდეგო ტანისამოსს. ამ დროს გოგისა უმჭევლად ღვიძავს, თვალები დაჭყტილი აქვს და თვალყურს მადევნებს. როცა ბინიდან გასვლას დავაპირებ, მეტყვის:

— მამიკო, მოდი გაკოცო, ჩემი კარგი მამიკონა ხარ!

ერთხელ მთხოვა ცოცხალი კაკაბი მომიყვანეო. გარდა იმისა, რომ კაკაბზე ნადირობისათვის საჭიროა მავარი მუხლი და ჯანსაღი გული, საჭიროა აგრეთვე სიფრთხილე. კაკაბი მთაზეა, მთაზეა გიურზაც—ეს ძალზე შხამიანი გველი. ძალღმა ანლო რომ გაუაროს გიურზას, იგი უფთოდ ემტვრება ძალს და უკენს. მარშან კაკაბზე ნადირობის დროს გიურზამ უკბინა ჩემი პატარა, ღამაშ, წითელყურებიან, გრძელბეწვიან მუქებარს და მომიკლა. ძალღი იქვე გასივდა და სული დალია. მონადირესაც მართებს სიფრთხილე. ბალახში დამალულს შემთხვევით ფეხი რომ დაადა, გეცემა და შხამიან კბილებს ჩაგასობს.

ოქტომბრის მიწურულში მე და ჩემი მეგობარი რაქდენი კაკებზე სანადიროდ გავმგზავრეთ. გადავწყვიტე გოგისთვის ცოცხალი კაკაბი მომეყვანა. ბერი ვიხეტიალე შეგნსა და მთებში, კაკაბი ბლომად დაგვოცე, მაგრამ მსუბუქად დაჭრილი ვერ ჩავიგდე ხელში.

დადლილი, დაქანცული ჩამოვჯექი ლოდზე. ერთხანს ვთვალთვრებდი უხარმხარ მთებს, რაქდენს ვუცდიდი. შორს მთაზე შეფენილიყო ცხერის ფარა. რაქდენის თოფი რომ გავარდებოდა, ქოფაბები ყვედნენ.

რაქდენი ჩემგან მოდიოდა, მერე ხელი დამიქნია — მოდიო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდი, ფეხთან სისინი შემომიქნა. განცვიფრებულმა მივიხედე. დახვეულ დიდ გიურზას თავი ზევით აეწია, გაბოროტებით მიყურებდა და სისინება, ამ წუთშივე დაეხიე. შავი იყო, შუატანი ჩემი მაჯის სიმსოპქონდა, ოდნე მოწითალო ფერი გადაჭარავდა. ენას დროდადრო გარეთ გამოჰყოფდა. გამივივრა — ასე რამ გააბრაზა მეთქი. ფეხი არ დამიდგამს, მხოლოდ ახლოს ჩავიარე. თოფი რომ მივტრიალე მისკენ, მიხვდა — კარგ საქმეს არ მიპირებსო, თავი ოდნე დახარა და ბალახს შეაფარა. თვალს მაინც არ მამორებდა, კვლავ სისინებდა, ენას პირში ისე იყოფდა, თითქოს ილოკავსო. თავში დავუმიხვნივ ვესროლე. აი, მაშინ გამოირკვა მისი გაკაპასების მიხეზი. იქვე კაკაბი მჯდარიყო. გიურზას ალბათ მოუნსუხული ყავდა ეს უმშვენიერესი ფრინველი, მისკენ მიიწვედა, რომ მოეხრჩო. ამ დროს ხელი შევეშალე და ამაღ გააბრაზა. თოფის სროლის ხმაზე წამოვარდა საწყალი კაკაბი და შიგ ფეხებში მეცა. მერე ისევ გაფრინდა. ადვილი მოსაკლავი იყო. თოფი არ დამიმინებია, შემეცოდა.

შინ მოსვლისთანავე გოგისა მოვუყვივე გველისა და კაკბის ამბავი. კაკაბი გოგისაც შეეცოდა, მაკოცა და მითხრა:

— ჩემი კარგი მამიკო ხარო.

გოგია დახვცილ კაკებებს ათვალთვრებდა — შიგ რომელიმე ცოცხალი ხომ არ ურევიაო. ვატყობდი, თვალში ცრემლით ვესებოდა, ცოცა ხნის შემდეგ ალბათ ღრიალს მორთავდა — ცოცხალი კაკაბი რატომ არ მომიყვანეო.

რაქდენმა ერთი კაკაბი მსუბუქად დაჭრა. „გაზში თუ არ მოკვდა, წავალ, გამოვართმევ“, — გულში გადავწყვიტე. სწორედ მაშინ რაქდენმა შემოალო კარი და გოგისა მართვა ცოცხალი კაკაბი. კაკაბს მარტყენა ფრთის ბოლო ჰქონდა ოდნე დაზიანებული.

— კაკაბი ქათამივით შეგაჩევეა, ოღონდ წყალი და საქმელი არ მოაკლო, —დარაგა რაქდენმა.

გოგისა სისარულს სახლვარი არ ჰქონდა.

ნახ. ა. მესხისა და ი. ყავლაშვილისა



# რეპორტი

## გალაკტიონ მანგიას ლექსები

გასული წლის ოქტომბერში მივლმა ჩართველმა ხალხმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან სამოცი წლისა და პოეტური მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლისთავი.

გალაკტიონ ტაბიძე იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ ინტელიგენციის სულიერად დაცემა გამოიწვია. მივინვარებდა სტალინის რეჟიმს. ამ პერიოდში გალაკტიონ ტაბიძემ საკმაო ხარკი გადაუხადა სევდასა და უმედიობას, სასაფლაოსა და ღამეს, ცემილსა და ვარაშს. მაგრამ პოეტმა მაინც დაგვანახა თავისი ლექსებში იმედი ნაპერწკალი. ამ პერიოდზე მითუმ ვლამარაულობთ, რომ „საბლიტების“ მიერ ახლანდელ გამოცემულ ლექსების კრებულში, პოეტის მიერ განვილილი ზღის ჩვენების მიზნით, შეტანილია ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერილი ლექსებიც.

რევოლუციის აჯანში — პეტროგრადში მოქსწრო პოეტს 1917 წლის რევოლუციამ. ამ დღეებს გალაკტიონ ტაბიძემ მიუძღვნა ლექსი „დროშები ჩქარა“. პოეტმა რევოლუციის შედარა გათავნებას და მის ცეცხლს მზე უწოდა. იგი დიდებით ამკობს: „ხალხისთვის წამებულ რაინდებს“, „ვინც სისხლი დაღვარა“, „ვინც გვაბრძოლებს იმდით, ვინც მდგრად დახვედდა მტრის რისხვა-მუქარას“. გალაკტიონ ტაბიძისათვის რევოლუცია არის ქვეყნის განახლება, ხალხთა მონობისაგან სხნა და უყეთესი მომავლის გზა.

გალაკტიონ ტაბიძე პირველი ქართველი პოეტიცა, რომელმაც თავის ლექსებში დაგვიტანა პროლეტარიატის ბელადის — დიდი ლენინის სახე. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთიდან ბრუნდება პოეტი, აღფრთოვანებული და ლენინის იდეებით შეიარაღებული, მაგრამ სამშობლოს ის ვეღარ ცნობს, იმიტომ, რომ საქართველოს არ აღუმაზებს რევოლუცია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძემ უკუაგლო სევდა, ის პესიმისტური განწყობილება, რომელიც იგი დარჩენილი პოეტის ლექსებში და დაადგა სოციალისტური ოპტიმიზმის გზას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ლექსი „ჩვენ პოეტები საქართველოსა“, სადაც პოეტი მოუწოდებს მხატვრული სიტყვის ოს-

ტატებს დაიცვან ხალხის მონაპოვარი თავისუფლება:

„დღეღმთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრივალებს ესწრაფთ სიცოცხლეს, ჩვენ პოეტები საქართველოსის.“


გალაკტიონ ტაბიძე ერთი წუთითაც არ ჩამოშორებია სამშობლო ქვეყნის თავისუფლებას. პოეტი ბედნიერი ცხოვრებით განირაღდნებულ შარაზიდან უმღერის განახლებულ სამშობლოს, მის მიღწევებს, დიად აღმშენებლობებს, ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმურენობებს და ყოველივეს, რაც კი სამშობლოს წარმატებებთან განუწყრელადაა დაკავშირებული. გალაკტიონ ტაბიძემ საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავზე მიმართა აღორძინებულ სამშობლოს:

„მშობლიური ჩემი მიწაჲ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს მიღწევებს, შენი დროშის ფერს დავიცავ.“

ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძემ თავისი პოეტური მოღვაწეობის დასაწყისში არაღვალურ კრებაზე წაითხა ლექსი „პირველი მაისი“, სადაც მუზე პოეტური საღობაგებით აღწერს ციხეს, ბორკილებს, შიშინებს, თმებს, რომ ყოველიველი თავისუფლება ამ ქვეყნად აკარაბულითა თვითმპრობელობის მიერ. მაგრამ პოეტმა ოპტიმისტურად განჭვრია მომავალი, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვება, და მიესალმა მომავალ ბრძოლებს. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაწერილი ლექსში, რომელსაც პოეტმა იგივე სათაური „პირველი მაისი“ დაარქვა, აღწერა ჩვენი მზარდი ცხოვრება, ადამიანები, სიხარული, და ჩვენი პირველი მაისობები. უნდა ითქვას, რომ ეს ლექსი პასუხია პოეტის მიერ ჭაბუკოვაში დაწერილი ლექსისა „პირველი მაისი“.

განსაკუთრებული ადგილი უკავია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებასა და საქმიანობას. პოეტმა ახალგაზრდობას მივლი რიგი შესანიშნავი ლექსებისა უძღვნა. იგი ახალგაზრდობას მოუწოდებს შრომისა და სწავლისაკენ, მშვიდობისათვის ბრძოლისა და საბჭოთა სამშობლოს სიყვარულისაკენ.

გალაკტიონ ტაბიძე გამგრვლებელი ნიყოლმ ბარათაშვილის, ილია ცუკუპავას, აკაკი წერეთლის და ვივა ფეხვაძის პოეტური ტრადიციებისა ქართულ მწერლობაში. იგი მაღალი პოეტური მხით



უმღერის ახალ ეპოქას, რადგან, როგორც თვითონ ამბობს: „ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“.

ბაპუკ ბახტურიძე.

## პ. კონონენკო — ჩვენი ლა პაპაჰეიკი

მწერალი ქალის ელენე კონონენკოს წიგნი „ჩვენი და ბავშვები“, რომელიც ქართულ ენაზე ახლანდელმა გამოცემა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ, საინტერესო და საყვარელდებო კრებულისა. მასში ოცდაათზე მეტი მოთხრობა და ნარატიული მოთავსებული.

ე. კონონენკო ოსტატურად გვიხატავს მოსწავლეთა ცხოვრებას. ატორის მთავარი ღირსება წარმოადგენს მოსწავლეების ცოცხალი და მიზმიდელი სახეების შექმნა. მწერალი მეტად ახლოს და ზედმიწევნით იცნობს მოზარდის ფსიქოლოგიას. წიგნში იგი ბავშვის სულის ღრმა მცოდნედ გვევლინება. ამით აღწევს ატორი მხატვრულ სიმართლესა და მკითხველზე ზემოქმედებას.

მწერალი ნათლად, დამაჯერებლად ხატავს სხვადასხვაგვარი ხასიათისა და ბუნების ბავშვებს. წიგნში შეხვდებით როგორც მეტიწარა, ყოყონა, მატყუარა ბავშვებს, ისე პატიოსან, საილი, შრომისმოყვარე მოსწავლეებსაც.

განსაკუთრებული ინტერესითა და სიყვარულით იკითხება თავი „ახალგაზრდა მასწავლებლის ჩანაწერი“.

ამ თავში აღწერილი ამბები თუ ეპიზოდები საყვარელი ბუნებრივი და რეალური. ბევრი მოსწავლე თავის თავს დაი-

ნახავს ამ წიგნში, მრავალი გმირის ხასიათში ამოცნობს თავის ხასიათს.

აი, იურა როშჩინი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა მთელს სკოლაში. იგი კლასის სიამყედ ითვლება. მაგრამ იურას უნვითარდება მანვ ჩვევები: ყოყორობს, მეტიჩრობს, ყველას ზემოდან უჭურებს და ცდილობს თავისი „მე“ ყველაზე მაღლა დააყენოს. ახალგაზრდა მასწავლებელი სერგეი ილიჩი ამჩნევს თავისი მოსწავლის გადაგვარებას. მასწავლებელი მახვილგონივრულად და მართებულად აგებინებს ბავშვს თავის შეცდომას. მკითხველს სჯერა, რომ მეტიჩარა შეიგნებს და უკუაგდებს მანვ ჩვევებს.

წიგნში ნათლადა დახატული, რომ მასწავლებელი ბავშვების არა მარტო აღმზრდელი და პედაგოგია, არამედ მათი საუკეთესო მეგობარიცაა, რომელიც იზიარებს მოსწავლეების ავ-კარგს. მასწავლებელმა კარგად იცის თითოეული მოსწავლის ხასიათი, იცნობს მათ მშობლებსა და ცხოვრების პირობებს.

წიგნში შესულ მოთხრობებში ბუნებრივად და ამაღლებლადა დახატული სამამულო ომის მრისხანე დღეები. მკითხველი ხედავს, თუ რა როლს ასრულებდა სამშობლოსათვის მძიმე დღეებში სკოლა, მასწავლებელი და მოსწავლე, რითი ეხმარებოდნენ ისინი სამშობლოს, როგორი თავდადებით იბრძოდნენ მასწავლებლები და მოზარდები ბრძოლის ველზე. ამ მხრივ დასამახსოვრებელი ბარათებისა და მოსწავლე მიტია ტიხონრაევის, პოტაპ



პეტროვიჩისა და ტინ ტინჩის სახეები. ის მოსწავლეები, რომლებიც მცირეწლოვანობის გამო ვერ მონაწილეობენ ბრძოლაში, კეთილშობილურ და ვაჟაკურ ფიქრებს გაუტაცნიათ და მტრის გასანადგურებლად ბრძოლის ველისაკენ მიიღტიან. აი, რას წერს ერთი გოგონა თავის დედას: „მარა, დედა! ჩვენთან დილაობით ჩიტები სროლისაგან შემინებული კი არ არიან, არამედ გალობენ ისე, თითქოს აქ არაფერი მომდარჩიყოს. მათი მომენა ალარ შემიგლია. ახ ახლევ წამიყვან აქედან და ისე, როგორც ზოიას

დელა, მომიზადებ სალაშქრო ნათისა, ან არადა, ვტოვებ სკოლას, ინტერნატს და მივიდვარ პარტინანებთან. გარწმუნებ დედოღო, რომ მე მათ მივივანებ, შევძლებ ვიყო სასარგებლო ფრონტისათვის და ვუზღავ ფანსტ ქვეყრამავლებს ტანისადა შურა ჩეკალინის სიკვდილის სამაგორის, რომლებიც ჩემთვის ახლა მშობლიურები არიან.“

რა თქმა უნდა, მწერალი საფუძვლიანად და ნათლად უხსნის პატარა „გმირს“, რომ კარგი სწავლით მას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია სამშობლოსათვის, რომ „მტრის შტაბების, ცისტერნების აფეთქება, მტრის მანქანების ფერდობებზე გადაყარება, სისხლისმსმელი კალოების გაქურტა შეიძლება ღრმა ზურგშიც, ყველაზე წყნარ კლაქში“, „შენ გინდა იყო ისეთი, როგორიც „ტანია“ — მიმართავს პატარებს მწერალი, — როგორც საშა ჩეკალინი იყვნენ? იყავი ისეთი იქ, სადაც შენ ცხოვრობ!“.

კიდევ მრავალ საინტერესოსა და სასარგებლოს ამოიკითხავს ამ წიგნში ნორჩი მკითხველი.

ე. კონონენკის „ჩენ და ბავშვები“ ძვირფასი წიგნია, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ასევე პედაგოგთა და საერთოდ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. ე. კონონენკის წიგნის კართულ ენაზე გამოცემით „საბავშვო“ სასარგებლო საქვე გააკეთა.

გურამ გომარათელი, კარლო ვალიანი.

### ახალი ნიგნები

**ტერენტი ტყემალაქე — „ზეპირი ანგარიში სკოლაში“.**  
წიგნში განხილულია მრავალი საინტერესო საკითხი: რიცხვების გამრავლების ზოგიერთი საინტერესო შემთხვევა, ზოგიერთი შერეული რიცხვის კვადრატის, ათწილადების ზეპირი გამორგარეშება და სხვა მრავალი. წიგნი განკუთვნილია საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. რედაქტორია დ. ბერიძე.

**ქეთევან ჭიაშვილი — „პატარა მეგობრებს“** კრებულში მოთავსებულია პატარ-პატარა მოთხრობები: „წვიმამ შეაშინა“, „ნანა და საათი“, „დანაშაული გამოასწორა“, „ველი აყვავდება“, „აგარაკზე“ და სხვ. კრებული განკუთვნილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. რედაქტორია ა. დონაძე, მხატვრული გაფორმება გუთუნის ნ. ფოფხაძეს.

**ქეთევან ქუჩუაშვილი — „ჩვენი ეზოს ბავშვები“.** წიგნი განკუთვნილია სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვთათვის, რომელშიაც შესულია ლექსები: „სკოლის შენობა“, „პირველი ხამთარი“, „კატა და თავი“, „პატარები ქვიშხეთში“ და სხვ. რედაქტორია ე. ბუჩუყელი, მხატვრული გაფორმება გუთუნის მ. დაუშვილს.

**დანიელ დეფო — „რობინზონ კრუზო“, ტომი II,** წიგნი თარგმნილია ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძის მიერ. რობინზონ კრუზოს სრული თარგმანი პირველად გამოდის. რედაქტორია ი. ჩხეიძე, მხატვრობა გუთუნის ე. ტორტოძეს.

**ალექსანდრე დიუმა — „გრაფი მონტე კრისტო“.** წიგნი ფრანგულიდან თარგმნა თამარ საჯაიამ. რედაქტორია გ. ქვიციანი, წიგნი განკუთვნილია უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.





## წყალი ტექნიკაში

ადამიანმა წყალს მრავალი სამუშაოს შესრულება ასწავლა, მორჩილ მსახურად გაიხად იგი. ამ ბოლო დროს სხვათა ინიცირებმა კიდევ ერთი სამუშაოს შესრულება დაიკისრეს წყალს: იგი გამოიყენეს მეწყობის რომში.

1952 წელს კუნძუნიკის ბასეინის ერთ-ერთი შახტში დაიწყეს ქვანახშირის მტკრევა წყლის საშუალებით. შახტში დადგმულია სპეციალური ხელნაწყო-შიდრამონტორი (წყალმტყორცნი), რომლიდანაც წყლის ძლიერ ჩქარვ უშვებენ ნახშირის შრეზე. წყლის მქერის იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ ქვანახშირის მომტკრევა შესძლოს. მომტკრეველი ქვანახშირი ძირის ჩამოყრდობდა მა მას ისევ წყალი შედეკავს საჭირო მიზანთუღებით. ნახშირისა და წყლის ნარევი გაივლის წისქვილს, სადაც ნახშირის დიდი ნატეგები დამტკრევა. შემდეგ ამ ნარევეს ძლიერი ტუმბოების საშუალებით ამოქაჩავენ მიწის ზედაპირზე. აქ ნარევეს დიდი ტექვადობის აუზებში ასხამენ, სადაც ხდება ნახშირის დაღეკვა. თავზე მოიდგამ წყალს ხელახლა უშვებენ შახტში დიდი წრებით (მეშახტის როლის შემსრულებლად), ნახშირს კი ავრობენ და აგზავნიან დანაშენულებშიაბერა.

როგორც ცხელავთ აქ ყველაფერი მექანიზმულად. შახტში მხოლოდ სამი კაცი-საკან შემდგარი ბრიგადა მუშაობს, რომელიც საათში 60 ტონაზე მეტ ნახშირს ამტკრევენ.

ქვანახშირის წყლით მომტკრევის დროს შახტში არა დგას მტვერი, რაც მუშის სა-მუშაო პირობების თვალსაზრისით დიდ მიღწევას წარმოადგენს.

ყინებს ზღვის ტალღები აურაცხელი რაოდენობით გამორიყავს ხოლმე. პერუელი სტატისტიკოსთა აღრიცხვით ფრინველები წელიწადში სჭამენ არა ნაკლებ 5.5 მილიონ ტონა ხამასს, რთაც ამავე დროის მონაკვეთში რესპუბლიკის საწარმოები 4 ათას ტონაზე მეტს ვერ იჭერენ.

ფრინველები—ეს ძირითადი კაპიტალია ჯგომანია დამინისტრატორია დელ გუანი ენ პერუს მრეწველთათვის, როგორც ოფიციალურად ეძახიან ამ კუნძულების მპყრობელ ორგანიზაციას. მისი მთავარი ძსაწარმო ოპერაციია არის ფრინველთა განავალის (გუანი) შეგროვება, რომლის დიდი ნაღვეს მჭიბთაც რე მთელი კლდეებია დაფარული. ეს ფრინველთა განავალი წარმოადგენს ძალიან ძვირფას სასუქს ნიადაგისათვის.

## შილყავაში რა შუაშია?

ეს ამავეი რამდენიმე წლის წინათ ვლადიმირსკის ოლქის ერთ-ერთ კოლმურერნობაში მოხდა. შაბათ საღამოს კომბოსტო-ს რეკე დამაფრდა, ხლო ორშაბათ დილას აღმოჩნდა, რომ მთელი ეს ახლად დაფრული კომბოსტო ვილასი პირწინდად მდებარდა.

მდგომარეობის გაქმსარკვევად სავანგებო კომისია შექნა, მაგრამ ამ ამოცანის ამონხნა შემთხვევით მოხდა: ვილაცამ დაინახა, რომ კომბოსტოს ნერგებს მიწიდან გლეჯენ... ქილყავები. კოლმურერნობის აგორნობი ამაში პირადად დარწმუნდა და კომბოსტოს გამანადღერებელთა ძებნა შეწყვიტეს.

მაგრამ რად დასჭირდათ ტილყავებს კომბოსტოს გლეჯა, რომელსაც ისინი არ სჭამენ?

საიდუმლოება კარგა მოგვიანებით გაიხსნა. მიმდინარე წელს, მსიკოვის მახლოლად, ერთ-ერთ კოლმურერნობაში ქილყავების თავდასხმამ დიდ საფრთხეში ჩაავლო

შაქრის ტარხლის ნათესები; ტარხალს ფრინველები მიწიდან გლეჯდნენ და იქვე ყრიდნენ.

ფრინველების სა საქციელი სრულიად გაუგებარი იყო.

დიდხანს ეძება მთავარმა აგრონომმა ქილყავების ამ უცნაური საქციელის მიზეზი. ბოლოს ის დასკვნამდე მივიდა, რომ ტარხლის ნაღვესაში ნაწილობრივ თვითონ იყო დამნაშავე

გამორკვა, რომ ნიადაგში, სადაც ტარხალი იყო დათესილი, ზოსტენულის მავნებელი ჭიები გარჩნილიყვნენ. ეს ჭიები ახალგაზრდა ტარხლის ნაწ და ტკბოლ ფესვებს დასებოდნენ. ქილყავებმა საკვები ძებნის დროს ტარხლის ძირებზე ეს ჭიები აღმოაჩინეს. ყველაზე იოლი და უბრალო გზა საკვების საძიებლად ტარხლის ამოღევა იყო. ფრინველები მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებს სპობდნენ და თუ ამასთან ერთად ტარხალი, ხოლო ვლადიმირსკის ოლქში კომბოსტო ზიანდებოდა, დაგნაშავენი ისინი მხოლოდ ნაწილობრივ იყვნენ.

ამის შემდეგ აგრონომმა თესვის წინ ნიადაგს ყურადღებით დაუწყო სინჯვა.

## ბ რ ი ბ ა ლ ის ძ ა ლ ა

გრიკალი ძალიან ძლიერ ქარს ეწოდება. მას ბევრი ლაშის მიყვება შეუძლია სახალხო მეურნეობისათვის. გრიკალი განსაკუთრებით საშიში არის მჭიდროდ დასახლებულ ბუნებში.

მრავალ მოსკოველს ახსოვს 1904 წლის გრიკალი. ეს მოხდა 20 ივნისს, დღის მეორე ნახევარში. ქალაქისკენ მოდიოდა უზარმაზარი მრავალფერადი ღრუბლები. მცირე სიმაღლეზე, ღრუბლების ცენტრში მოჩანდა სწრაფად მბრუნავი ქარიშხალი, რომელიც მსხვილ შავ ლატანს ჰკავდა. იგი თავისუფლად დასებინოდა და მის უკან რჩებოდა ნანგრევების ზოლი. გრიკალმა გადაურა მოსკოვის ლაშისაგეთ ნაწილს და წავიდა ჩრდილო-დასავლეთისკენ. ამ დღეს მთლიანად განადგურდა ანენგოვის უძველესი ბაღ—ქარმა ფსკეგვიანად ამოლოლა ერთი მეტრის სისქის ასწლოვანი ხეები. მინდვრად მყოფი ძროხები პერში აიტაცა და აფრინა რამდენიმე წამის განმავლობაში. მოსკოვის საგარეუბნო რკინიგზის ერთ-ერთ გადასასვლელზე პარკი აიტაცა სარკინოვზო ჯიხური, რომელშიაც იმ დროს გზის ოსტატი იმყოფებოდა. ჯიხური ქარაშოტმა 40 მეტრის მანძილზე გადასტყორცნა. თავზარდაცემული ოსტატი შემთხვევით გადაარჩა.

## პ ა რ უ ე ლ თ ა კ უ ნ ძ ე ლ ბ ზ ე

სამხრეთ ამერიკის ჩრდილო დასავლეთის სანაპიროზე განლაგებულია მრავალი ხრო-და და უდაბური კლდეები კუნძული. მათზე ცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ ზღვის ფრინველები. ეს კუნძულები ეკუთვნიან პერუს რესპუბლიკას, მაგრამ ფაქტურად ისინი გადაცემული არიან სარეწო კომპანიებისადმი, რომლებიც ეპრობენ სასუქით.

კუნძულებზე დასახლებულ ფრინველთა საერთო რაოდენობა, დაახლოებით 35 მილიონს აღწევს. აქ არიან—გარბინები, ქარიშხალეები, თოლიები და პიგეონები. ისინი იკვებებიან ჩვენუბური ხამის მავგვარი ჭიჭიენებით, რომლებიც ცხოვრობენ პერუს წყნარი ოკეანის ნაპირებზე. ამ ჭიჭ-



ერთ-ერთ ბაზარში ქარაშოტის ცენტრში მოხდა საპარალო ტანსაცმელში გამოწყობილი ბოლიცევილი, რომელიც ქარმა სახლების სახურავზე მალა აიტაცა და რამდენიმე წუთის შემდეგ ტანგანდლი და დასეტყვილი მიწას დაანარცხა.

ასეთი იყო ამ გრიგალის ძალა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წუთის გრძელდებოდა. გრიგალის ასეთი სიძლიერის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მონაწილეთა ღებულობს ჰაერის დიდი მასა, რომელიც ეკახება შემხვედრი სხეულების დიდ ზედაპირებს. სხვა მხრივ კი გრიგალი ძალზე სუსტი მოვლენაა. მაგალითად, ცნობილია რომ გრიგალი 1 კვ. მეტრს აწევა 75 კგ. ძალით. უძლიერესი გრიგალის დაწოლა ერთ კვადრატულ მეტრზე 300 კილოგრამს არ აღემატება. ასეთი დაწოლა კი ადამიანს შეუძლია სულის შეგბერვით განავითაროს. განსხვავება იმაშია, რომ ადამიანს არ შეუძლია მოძრაობაში მოყვანოს ჰაერის დიდი მასა და ერთი კვადრატული მეტრის ფართობს ერთაშადად შეუბეროს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ეს შესაძლებელია სულის შეგბერვას შეუძლია «მოსკოვის ქარაშოტისებური» «სასწაული» მოახდინოს.

წარმოდგინეთ ერთი კვ. მეტრი ფართობის მქონე პარკი, თუნდაც ქაღალდის, რომელსაც გაკეთებული აქვს ჩასაბერი მილი, ამ პარკზე დააწვიეთ ადამიანი და პარკში ჩაბერეთ. თქვენ ადამიანს ასწევთ ისევე ადვილად, როგორც გრიგალმა აიტაცა ჰაერში ბოლიცევილი.

ეს არც ერთი გასაკვირია; ადამიანის შეგბერვის ძალა ატმოსფერული წნევის დაახლოებით ერთ მეთოთხედს შეადგენს. ე. ი. დაახლოებით 70 გრამამდე ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე. ერთ კვადრატულ მეტრში კი 10000 კვ. სანტიმეტრია ე. ი. ასეთ პარკში ჩაბერვით ადამიანს შეუძლია ასწიოს  $70 \times 10000 = 700\ 000$  გრ. ანუ 700 კგ. თუ ჩასაბერი მილი საკამო სიგრძისა იქნება, მაშინ თქვენ საკუთარი თავის აწევას მოახერხებთ თქვენივე შეგბერვის ძალით.

ასეთი გრძელული პარკით ხელში, პატარა ბავშვსაც შეუძლია გრიგალს შეეჯიბოს. ტყუილია როდია ჩინური ხალხური ანდაზა: ყველამ რომ ერთად ამოისუნთქოს, გრიგალი დადგება.



## მ ი ნ ა ა რ ს ი

ირაკლი ხაშიძე—სამაყო სემობლო (ლექსი) . . . . .	გვ. 1
ალექსანდრე გომიავილი—სიმღერა (ლექსი) . . . . .	1
ი. ორიკი, ი. ვლადიმეროვა—საყველათო სახალხო დღესასწაული (წერილი, თარგმნა მ. ბურდულაძე) . . . . .	2
აკაკი გეჭაძე—საქართველოს ზეიმი (ლექსი) . . . . .	6
გრაგოლ ჩიქოვანი—მეორე ოჯახი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . .	7
ლადო მრეკავილი—ხარი სამგორში (პოემა) . . . . .	15
ბეჟან ბარდავეიძე—ჩვენს ხეობაში (მოთხრობა) . . . . .	19
ინ დ უ რ ი ზ ლ ა ბ რ ე ბ ი	22
მაქსიმ გორკი—მოღალატის დედა (მოთხრობა. თარგმნა რევაზ თაბუკაშვილი) . . . . .	23
ბ. ემელიანოვი—ზღაპარი (მოთხრობა. თარგმნა ნ. ჩხლაძემ) . . . . .	26
ანდრო ლომიძე—კაპაბი და გიურზა (ამბავი) . . . . .	28
ბაკურ ზახტორიძე—„გალატეონ ტაბიძის ლექსები“ (წერილი) . . . . .	29
გუგამ გომარეთელი, კარლო ფალიანი—ე. კონონენკო—ჩვენ და ბავშვები“ (წერილი) . . . . .	29
ახალი წ ი გ ნ ე ბ ი	30
მოკლედ ყველაფერზე ა) წყალი ტემქაიში, ბ) პერუელთა კუნძულებზე, გ) ქილყავები რა შუაშია! დ) გრიგალის ძალა . . . . .	31
ჭ ა დ რ ა კ ი—ქართულ და უკრაინულ მოჭადრაკეთა მეკობრობა. გარეკანის გაყვანილი გვერდზე „მტის ახალი ძალა შეგატა“,—ნახატი რ. ცუცქერიძისა. . . . .	3
გარეკანის მეორე გვერდზე „პატარა პარტიზანი“,—ნახატი შესრულებულია უკრაინელი მხატვრის ა. რუნიჩენკოს მიერ. . . . .	
გარეკანის მეოთხე გვერდზე—„კვივე, დნებარის სანაპიროს ხედი ვლადიმირის გორიდან“—ფერადი ფოტო ფ. ლევკაშისა. . . . .	
ჟურნალი დასრულებულია მხატვრების: რ. ცუცქერიძის, გ. თოთბაძის, კ. შანაბაძის, შ. ცხადაძის, ვ. ბუღეცვაიას, აღ. ბანძელაძის, ა. მესხიასა და ი. ყვალაშვილის მიერ. . . . .	

რედაქტორი რევაზ მარგანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ერანიძე, გ. ვარლახანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მ, მდივანი), მარჯვანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებიათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Февраль, № 2, 1954. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

№ 00252 ტირაკი 15.000 გამომც. შვკვ. № 23 სტამბის შვკვ. № 64. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.


## ქაჩოველ და უკრაინელ მოჭადრაკეთა მემოზრება

ქართულ და უკრაინელ მოჭადრაკეთა მემოზრებას დიდი ტრადიცია აქვს. ვახუშტი საუკუნის დამლევე კიევის საცხოვრებლად გადასახლდა სახელგანთქმული ქართული მოჭადრაკე ანდრია ჯაღანი (1850 — 1910 წ. წ.). სახელგანთქმული მოჭადრაკე აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიევის საჭადრაკო ცხოვრებაში. იგი ხშირად ხვდებოდა დაჯანსაღებულ ცნობილ უკრაინელ მოჭადრაკეებს დუზ-ხოტიმირსკის (დაიბადა 1879 წ.), რომელიც ამჟამად სპორტის დამსახურებული ოსტატია, ბრევესკის, ტულოვის და სხვებს. ქართულ მოჭადრაკეს პირადი მემოზრება აკავშირდება უკრაინელ მოჭადრაკეებთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნათელ მზისქვეშ უფრო განმტკიცდა ორი მომეტე ერას მოჭადრაკეთა ურთიერთგაგება და მეგობრობა.

არაერთხელ სწევნიან საქართველოს უკრაინის სახელგანთქმული მოჭადრაკეები. 1934 წელს თბილისში ავსტრიელი ოსტატის ჰანს კოხის მონაწილეობით გამართულ დიდ ტურნირში მოწვეულნი იყვნენ და წარმატებით თამაშობდნენ კიეველი ოსტატები, უკრაინის უდიდესი თეორეტიკოსი ვ. რაუზერი და ა. კონსტანტინოპოლსკი. საკავშირო პირველობაში, რომელიც თბილისში გაიმართა 1937 წელს, უკრაინელები მოჭადრაკეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

მოგვიყვას უკრაინის უძლიერესი ოსტატის ა. კონსტანტინოპოლსკის (თერთმეტი) მოგებულ პარტია გროსმაისტერ ზ. ლევენოშთან.



თერთმეტი ფიგურები კარგათაა განვითარებული. ამიტომ შეტევის მისაღებად ისინი გაბეულულად სწრაფვენ ხარისხს: 1. c4! კ:1 2. ლ:1 მფ7 3. მფ5 მ6 4. d5 h5 5. ლ:4 მფ7 6. მ:6 e f 7. მd7! (გადამწყვეტი შეწირვა, თერთმეტი ლებულაზნ მზაფერ იერიშს) ლ:7 8. ლ:1 ეფ 9. ე:7 ლ:ე7 (ძიულე-ბითი სულა) 10. ლ:ე7 (თერთმეტი კომპიანცია დამთავრებულია, თუღმ შეიჭმნა მატერიალურად თანაბარი მდგომარეობა, მაგრამ თერთმეტი ინარჩუნებენ ძლიერ შეტევას) 10... ეფ7 11 ლ:6 ეფ 12. კ:3 კ8 13. ლ:6 f5 14. კ:2 მ:7 15. კ:5 ე:7 16. კ:5 ე:7 17. კ:3 ეფ7 18. ე:6 და ლევენოშები დაწებენ.


დღესაც ასხივთ ჰიდრაკის მესვეურებს კიევის და თბილისის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება, რომელიც 1939 წელს მოეწყო თბილისში. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მრავალი მაყურებელი მივიწია. ყურადღების

ცენტრში იყო 13 წლის დავით ბრონშტეინი, რომელიც მასზე უკვე პირველი თანრიგის მოთამაშე იყო. მასთან მხარდამხარ იბრძოდნენ ისაკ ლიანციცი, ლუბა კოვანი და ბევრი სხვა, რომლებიც შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკეები გახდნენ.

შემდეგაც თბილისის მრავალჯერ სწევნია გროსმაისტერები და ბრონშტეინი, ი. ბოლესლავსკი, ოსტატ ი. ლიანციცი და სხვ. გროსმაისტერმა ე. გელერმა სპორტის ოსტატობა თბილისში 1949 წელს გამართულ ტურნირში მოიპოვა.

უკრაინის მოჭადრაკეებს კიევის არაერთხელ შეხვედრიან ქართველი საჭადრაკეები. აქ ყოფიან საქართველოს მრავალჯგის ჩემპიონი ქალთა შორის ჰენია გოგიავა, ოსტატია ა. ებრაელიც და სხვები.

მოგვიყვას თბილისელი ოსტატობის კანდიდატ ა. ფირცხალავს (თერთმეტი) მოგება გროსმაისტერ ე. გელერთან.



ცენტრში გარღვევით ფარცხალავა აპარცხებს ძლიერ მეტოქეს. 1. e5 d 2. მ:ე5 მ:ე5 3. ე:მ:მ:მ:მ:მ 4. მ:მ ენ 5. ხ3 ე6 6. ლ:6—მფ7 7. h4 (თერთმეტი იერიში მეტად ძლიერია) ე:მ:მ 8. მ:მ ე:4 9. h5 მ:7 10. ლ:6 f 11. ლ:6 ე5 12. f4 მ:7 13. ე:4 ე:2 14. ე:1 მ:6 15. ლ:6—მ:მ 16. ე:6 გელერი დაწებდა.

უკრაინის საჭადრაკო ორგანიზაცია ერთხმად აღიარებულა, როგორც ძლიერი მოჭადრაკეების სამეფლო. აქ იწყეს თავისი საჭადრაკო კარიერა და ბრონშტეინმა, ი. ბოლესლავსკიმ, ე. გელერმა, ა. ბანიკმა, ვ. რაუზერმა, ა. კონსტანტინოპოლსკიმ, ი. ლიანციციმ და ბევრმა სხვამ. ყოველწლიურად რესპუბლიკის პირველობებში ვინცდებიან სულ ახალი წიგნური მოჭადრაკეები. 1953 წლის პირველობაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა 19 წლის თუხუშანამ (ლდესა), რომელმაც გაუსწრო სახელოვან ოსტატებს.

ძლიერია უკრაინის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდიც, რომელსაც საკავშირო პირველობის გათამაშებაში მრავალჯერ სპირიო ადვანი აუღია.

1953 წლის საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს გუნდმა შეძლო უკრაინის მოჭადრაკეების ძლიერი კოლექტივის დამარცხება ანგარიშით 6 1/2: 3 1/2, ამ ორთაბრძოლაში თავის ისახელებს საქართველოს გუნდის ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ოსტატობის კანდიდატმა ბ. გურგენიძემ და საქართველოს ჩემპიონმა ქალთა შორის ელისო კაკაბაძემ.

